არავის მივცემთ უფლებას, რომ საარჩევნო კამპანიაში ძალადობრივი მეთოდები გამოიყენოს!

მინდა მივმართო ჩვენს ამომრჩევლებს, რომ ძალადობა და ის მეთოდები, რომლებიც დაამკვიდრა წარსულში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩვენთვის არის მიუღებელი. ჩვენ სულ სხვაგვარი ხელწერა გვაქვს, დღეს ჩვენი ამომრჩეველი და ჩვენი მოქალაქეები სულ სხვა თვისებებს აფასებენ დადებითად. ამიტომ ნებისმიერი ძალადობა, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს წინასაარჩევნო პროცესში, უარყოფითად იმოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების იმიჯზე. ამიტომ, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ თავი შეიკავოთ ყველანაირი კონფრონტაციისგან. მინდა, დავავალო შსს მინისტრს, რომ გააკეთოს ყველაფერი, გამოიყენოს ყველა ინსტრუმენტი, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი დაპირისპირება!

გიორგი კვირიკაშვილი,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიცოცხლეა, ცალიერებით და ჭიერებით ბუერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაბაგლესია.

შაბათი, 10 სექტემბერი. 2016 წ. №169 (8061), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გნაცმოძრაობის ③
ურცხვობა-უტიფრობას
საზღვარი არასოდეს ჰქონია და არცა აქვს!

რა ეშველება ბორჯომის პლატოს რეკრეაციულ ტყეს?!

კრიმინალური რუსეთის პრეზიდენტი – თბილისელი ქურდი შაქრო კალაშოვი

ახალი მინისტრები

კვირიკაშვილმა ენერგეტიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად კახი კალაძის მოადგილე ილია ელოშვილი წარადგინა, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას მოვალეობას, ასევე მისი მოადგილე ლევან დავითაშვილი შეასრულებს.

„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მაჟორიტარები სიის ქვედა ეშელონებში ყოფილიყვნენ, რადგან დარწმუნებული ვართ გამარჯვებაში და გვინდოდა, ამომრჩეველი ყოფილიყო დაზღვეული, რომ მათ ჰქონდა გარანტირებული ადგილები პროპორციულ სიაში,“ – აცხადებს კვირიკაშვილი.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული ზოგიერთ ოლქში მეორე ტური დაინიშნოს, ამიტომ ამომრჩეველს აქტიურობისკენ მოუწოდებს.

ანონსი
დისკუსია!

ყოველ პარასკევს გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“**, ყოველ ხუთშაბათს 17 საათზე და ყოველ ორშაბათს 20 საათზე, ტელევიზია „ქართული TV“-ს ეთერით მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“ მეცნიერთა რუბრიკით: **„ქართული, მხოლოდ ქართული გზა!“**

პოზიცია: **„სასოწარკვეთილი ხალხი, გაბოროტებული მაძიებლები, იგნორირებული ოქროს ფონდი“** –

ორშაბათს, 12 სექტემბერს, 20 საათზე ტელევიზია „ქართულიTV“-ით პირველი დისკუსია პარტიების მიერ საარჩევნო სიების წარდგენის შემდგომ.

მეცნიერები ყველას გასაგონად ვამბობთ:

საჭიროა არა ისეთი ხელისუფლება, რომელიც რაც შეუძლია, იმას აკეთებს, არამედ დღეს საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის შესაძლებლობის მაქსიმუმზე მუშაობს.

დიდი მადლობა ყველას, ვინც საფუძვლიანად ეცნობა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ნააზრევს, ვინც შეძლებს, რომ სხვაც დააინტერესოს.

ჩვენ განსაკუთრებულად ვაფასებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მხარდაჭერას მეცნიერებისადმი და პრესის გამავრცელებლების გადაწყვეტილებას, ყოველი პარასკევის ნომერი მომდევნო პარასკევამდე იყოს გაყიდვაში.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“

ნომადი ბართაია

მარტო იმიტომ ღირს მზის ამოსვლა, რომ უხარიათ ბულბულებს ასე... ⑥

აშშ-ის კონგრესმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო.

რეზოლუციას მხარი 410-მა კონგრესმენმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი, 6 აღმოჩნდა.

რეზოლუციის ტექსტში დაგმობილია 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრისა და სამხედრო ინტერვენციის ფაქტი.

დოკუმენტის ავტორები რუსეთს მოუწოდებენ, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

რეზოლუციის სრული ტექსტი კონგრესის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

აშშ-ის დელეგაციამ საოკუპაციო ხაზი დათვალიერა

საქართველოში ვიზიტით მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ხურვალეთში იმყოფებოდა.

საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე გორის რაიონის სოფელში არსებული ვითარება სტუმრებს სუს-ის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დაათვალიერებინეს და რუსეთის საოკუპაციო ძალებისგან მომდინარე საფრთხეები და ის პრობლემები გააცნეს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას უკანონოდ აღმართული მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების გამო ექმნება.

„დაგროვებითი საპენსიო სისტემა“ პენსიების მუდმივ პრობლემას გადაჭრის

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ფეხდაფეხ მოხდება არსებული პენსიონერების პენსიის ცვლილება — ამის შესახებ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ სიის პირველმა ნომერმა, პარტიის თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა „ექსპო ჯორჯიაში“, პარტიის საარჩევნო პროგრამის წარდგენისას განაცხადა და აღნიშნა, რომ არ არის პასუხისმგებლიანი მიდგომა ისეთი ციფრების დასახელება, რომლის გადახდაც დღეს საქართველოს ბიუჯეტს არ შეუძლია.

კვირიკაშვილის თქმით, საპენსიო ასაკის ადამიანების დასაქმების პროგრამა „ცხოვრება გრძელდება“ და დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნისთვის საფუძველის ჩაყრა ათი წელიწადის პერსპექტივაში მთავრობის წინაშე პენსიების ზრდის მუდმივ პრობლემას გადაჭრის.

„ჩვენ დღეს უნდა ჩავუყაროთ საფუძველი დაგროვებით საპენსიო სიტემას, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებულ პენსიონერებს აუცილებლად უნდა გაეზარდოთ პენსია და მე შეგნებულად არ ვასახელებ ციფრებს და ვფიქრობ, რომ არ არის პასუხისმგებლიანი ისეთი ციფრების დასახელება, რომლის გადახდაც დღეს საქართველოს ბიუჯეტს არ შეუძლია, მაგრამ ერთ პირობას ვდებთ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ფეხდაფეს, მოხდება არსებული პენსიონერების პენსიის ცვლილება და ამას ჩვენ ძალიან დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ახალი სასწავლო წელი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო. მთავრობის თავმჯდომარემ შეკრებილ პირველკურსელებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. ღონისძიებას აგრეთვე ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, ქალაქ ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უფროსი მამუკა ახალაძე და მთავრობის სხვა წევრები.

„მინდა, მივესალმო დამსწრე საზოგადოებას და პირველკურსელებს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება. დღეს თქვენ შემოხვედით ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში. ბათუმის აკადემია — ეს არის ჩვენი კუთხის საგიზიტო ბარათი, ჩვენი რეგიონის მომავალი. თქვენ ეუფლებით პროფესიას, რომელსაც შეაქვს ძალიან დიდი წვლილი ჩვენი კუთხის, ჩვენი რეგიონის განვითარებაში“, — აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ერთადერთი საზღვაო სასწავლებელია საქართველოში, რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და რომლის დიპლომიც საერთაშორისოდაა აღიარებული. ამჟამად აკადემიაში 2200 სტუდენტი სწავლობს.

აკადემია ამზადებს არა მხოლოდ ოფიცრებს, არამედ რიგით მეზღვაურებს სასწავლებელთან არსებულ პროფესიული გადამზადების ცენტრში (ერთწლიანი უფასო სწავლება), რაც ეხმარება კურსდამთავრებულს, მოკლე დროში დაეუფლონ აღნიშნულ კვალიფიკაციას.

საზღვაო აკადემიის სტუდენტის დასაქმების არეალი არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიოა. აკადემიის კურსდამთავრებულთა საშუალო დასაქმების მაჩვენებელი 75 პროცენტია. ქართველი მეზღვაურები, ძირითადად, დასაქმებული არიან ევროპულ და აზიურ გემთმფლობელ გემებზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს მთავრობის ინიციატივით და მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 2 მილიონი ლარი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ამ პროექტის წარმატებით დანერგვაში დამატებით გამოყო დაახლოებით 400 000 ლარი.

ამოწმებენ სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო სასწავლო წლის განახლებასთან დაკავშირებით სკოლებისა და საბავშვო ბაღების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს. სააგენტოს ცნობით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირები გადაამოწმებენ, რამდენად დაცულია სურსათის უვნებლობის სტანდარტები სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკებში და ბიზნესოპერატორებმა როგორ შეასრულეს მიცემული რეკომენდაციები. საჯარო და კერძო სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების კვების ბლოკების ინსპექტირების პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. მოწმდება სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სურსათის უვნებლობა, პროდუქციის ვადიანობა და ეტიკეტირება.

კახა კალაძემ თანამდებობა დატოვა

ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ თანამდებობის დატოვების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. კალაძე თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ ხნის

განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეს და 24 საათის განმავლობაში მუშობდნენ — „მე დღეიდან აღარ ვარ თქვენი მინისტრი, ჩვენ ვიქნებით ერთად, მთავარი ეს არის და ერთად მივაღწევთ გამარჯვებას“, — აღნიშნა კალაძემ.

კახი კალაძე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს და „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მეორე ნომერია.კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობის წევრი ვალდებულია, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში, თანამდებობა დატოვოს. კალაძის გარდა, სიაში კიდევ ერთი მინისტრია, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, რომელმაც უკვე დატოვა თანამდებობა.

ახალი სახე, რომელიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში არ არის

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სოფო ჯაფარიძე, რომელიც პარტიის ახალ სახედ იყო წარდგენილი, თუმცა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში არ არის, განმარტებას აკეთებას.

„ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში არ ვარ. მხოლოდ სუბიექტური მიზეზის გამო, რომელიც იმდენად პირადია, რომ ამაზე საუბარი არ მსურს, მივიღე გადაწყვეტილება, არ ვიყო სიაში. ამ გადაწყვეტილებას აბსოლუტურად გაგებით მოეკიდა პრემიერ-მინისტრი, საჯაროდ ვუხდი მას მადლობას ნდობისთვის, თანადგომისთვის და მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობელი ვიქნები ჟურნალისტების, რომლებიც გაგებით მოეკიდებიან ჩემს გადაწყვეტილებას და ზედმეტი კითხვებით არ მომმართავენ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩემს გადაწყვეტილებას პოლიტიკური სარჩული არ ედო და მხოლოდ პირადმა, სუბიექტურმა მიზეზმა განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება. სადაც არ უნდა ვიყო, რა პოზიციაზეც, მე გავაგრძელებ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ. წარმატებას ვუსურვებ „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნებში“, — წერს სოციალურ ქსელში სოფო ჯაფარიძე.

პაატა ბურჭულაძის პარტია გიორგი რუხაძემაც დატოვა

ინფორმაცია ამის შესახებ მან სოციალური ქსელით თავად გაავრცელა და აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ხალხისათვის“ საარჩევნო სიაში ყოფნაზე პირადი მოსაზრებებით თქვა უარი.

„დაწვრილებით, ალბათ, მომავალში ვისაუბრებთ. დღეს რაც შემიძლია, გითხრათ, არის ის რომ, პირადი მოსაზრებებით ვთქვი უარი პარტიულ სიაში ყოფნაზე. სატელევიზიო კომენტარებზე ამ ეტაპზე თავს შევიკავებ“, — აცხადებს რუხაძე.

„გირჩი“ და „მრეწველები“ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ

გოგი თოფაძის პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. „თოფაძე - „მრეწველები“, ჩვენი სამშობლო“ ცესკომ რეგისტრაციიდან მოხსნა. კომისიის ინფორმაციით, „მრეწველების“ მიერ ცესკოში წარდგენის დოკუმენტაციას საარჩევნო სია არ ახლდა, რაც რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. გარდა ამისა, რეგისტრაცია გაუუქმდა ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩსაც“, რომელმაც შესაბამისი განაცხადით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ორი დღის წინათ მიმართა.

ამ დროის მონაცემებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულია 27 საარჩევნო სუბიექტი, რომლებმაც ხუთშაბათს დღის ბოლომდე წარადგინეს მაჟორიტარული და პარტიული სიები.

◎ მავნე ტრიადის მეაკვნენი

მოუშორებელი ჭირი და გალალებული კიბო!

გნაცმოძრაობის ურცხვობა-უტიფრობას საზღვარი არასოდეს ჰქონია და არცა აქვს!

ყოველგვარი **შესავლის გარეშე ვიტყვი სათქმელს, რადგან ისედაც ყველამ კარგად ვიცით, საკუთარი ნებითა თუ მავანთა ზემოქმედებით გონებადახშულთა გარდა, ცხადია (სამწუხაროდ, ასეთები საკმაოდ მოგვიმრავლდნენ!), როგორი მოუშორებელი ჭირიც გახლდათ გნაცმოძრაობა და რაოდენ მაოხრებელ გზირადაც გვექცა 2012 წლის შემდეგ და ახლაც ასეთად გვევლინება.**

მხოლოდ სამ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან მათი „დამსახურებებიდან“, რასაც **უშუალო კავშირი აქვს ჩვენს ქვეყანაში უსაშინლესი სენის — ავთვისებიანი სიმსივნის გავრცელების ფაქტების ესოდენ მოხშირებასთან.**

ინტერნეტში ხაზგასმით არის აღნიშნული ამ სენის გამომწვევი სამი უმთავრესი მიზეზი: **1. მავნე გამონაბოლქვებისგან საოცრად დაბინძურებული და ორგანიზმის მომწამვლელი ჰაერი; 2. ნიტრატებით გაჟღენთილი უვარგისი და ასევე მომწამვლელი კვების პროდუქტები; 3. სტრესი.**

ამ მავნე ტრიადის სათავე კი გნაცმოძრაობის ზეობიდან მოდის.

ქალაქის ქუჩებში რომ არ გაისვლება და ჰაერი არ ჩაისუნთქება, იმდენი მომწამლავი გამონაბოლქვის შლეიფიანი მანქანა დადის (მე მათ ბორბლებზე შეყენებულ ასფალტ-ბეტონის ქარხნებს ვადარებ), ვისი ბრალია?



არ დავიწყებ იმის მტკიცებას, კომუნისტების დროს თუ შევარდნაძის ხელისუფლებისას ავტომანქანების ტექდათვალიერება უნაკლო-უქრთამოდ ტარდებოდაო, მაგრამ გარკვეულ შემაკავებელ ბარიერად რომ გვევლინებოდა ქვეყნის სათავეში სააკაშვილის გნაცმოძრაობის მოსვლამდე, რომელმაც საერთოდ გააუქმა ტექდათვალიერება და ამით ამომრჩეველთა (ამ შემთხვევაში მძღოლთა) გული მოიგო, ხომ ფაქტია?

ეს — კიბოს გამომწვევი პირველი მიზეზი.

ახლა მეორე პრობლემა:

თუ მეხსიერება არ მღალატობს, 2007 წლის მიწურულს გნაცმოძრაობის ხელისუფლებამ ერთი ხელის მოსმით გააუქმა უშუალოდ კვების პროდუქტების და, საერთოდ, მათს დამზადება-მოხმარებასთან დაკავშირებული ყველა საწარმო-დაწესებულების მაკონტროლებელი ორგანო, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები იყო ეს, ფიტოსანიტარიული სამსახური თუ სხვა. **მათ ნაცვლად პარლამენტმა დაამტკიცა სურსათის უვნებლობის ერთი სამსახური, დააკომპლექტა იგი და 2010 წლის მიწურულამდე... აუკრძალა თავისი უშუალო მოვალეობის შესრულება. მერე კი ეს აკრძალვა 2012 წლამდე გააგრძელა.**

რა თქმა უნდა, არც ეს გაკეთებულა უანგაროდ — **გნაცმოძრაობამ ამით თავისი ჯიბის ბიზნესმენები და თავისი ფინანსურად მხარდამჭერი ბიზნესი ახეირა.** ყველა ჯურის, შინაგან თუ გარეულ საქმოსანსაც ხელფეხი გაუხსნა და **საქართველოს ბაზარი გადაივსო მომწამლავი, ორგანიზმისთვის უაღრესად საშიში კვების პროდუქტებით.**

ესეც — კიბოს გამომწვევი მეორე მიზეზი.

რაც შეეხება მესამეს, სტრესს, რაც საკუთარი არაადამიანური, საოცრად არაჰუმანური, ძალადობრივი, ქართველი ერის ზნეობა-ტრადიციებისთვის ყოვლად მიუღებელი „მართვის“ მეთოდებით ჩვენს ხალხს თავს დაატეხა გნაცმოძრაობამ, **იგი ხომ ყოველდღიურად და ულიმიტოდ გვქონდა გარანტირებული!**

აი, ასე მოამრავლა საქართველოში ავთვისებიანი სიმსივნით დაავადების შემთხვევები საზოგადოების ორგანიზმს მეტასტაზებად მოდებულმა თავად მთავარმა კიბომ — გნაცმოძრაობამ.

ახლა კი ეს მოუშორებელი ჭირი ყველა ცოდვას თავიდან ირიდებს, სხვათათვის გადაბრალებას ცდილობს და ურცხვად ამტკიცებს, ჩემს დროს ქვეყანა ყვაოდა, „ოცნებამ“ დააქცია, ამიტომ უნდა დავბრუნდეთ ხელისუფლებაში და ქვეყანაში ყველაფერი დავალაგოთო.

უნამუსოთა უტიფრობა-ურცხვობას სად და როდის ჰქონია საზღვარი, ყოვლად სინდის-ნამუსგარეცხილ გნაცმოძრაობას რომ ჰქონდეს?

თანაც მისთვის ამის გამო პასუხის მომთხოვნიც რომ არავინ ჩანს?

ამადაც ტირის „პატარა“!
გასდის და რად არ იტირებს?
ვინც ჯერ არს, ფრთხილად იყავით,
სანამდის დედას გვიტირებს!

რუსლან რუსია

◎ რაც ყურს არ გამოეპარა

სხვა დოლის ხმა...

აქუს „კავკასია“ ხშირად იწვევს ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს. წუხელაც ჰყავდა სტუმრად.

— ძალიან ბევრს წუწუნებ, ჩემო დავით, — უთხრა რამაზმა. — ისედაც დაბნეულ ხალხს ცუდად გეშავ.

— არა, კაცო, მე ყოველთვის ამათ მხარეს ვიყავი, მაგრამ აშკარად გული გამიტყდა, — ეუბნება „კავკასიის“ მფლობელი...

და მაგონდება ერთი ძველი ნათქვამი, ვინც მწყობრში ფეხაუწყობელი მიდის, იმას სხვა დოლის ხმა ესმისო... ეს დოლის ხმა კი, ეტყობა, იმ ანაზღაურების ხმაა, რომელიც „სამშობლოდან“ რედაქციების გამოყრის შემდეგ ნაციონალებმა ცოლ-ქმარი ჯანგირაშვილი-აქუბარდია „გააყრუეს“...

მოღორებული ნატო

„**ცრუსთავი-2**“-ის კორესპონდენტი ქალი, მგონი, გოქსაძე, საქართველოში მყოფ ნატოს გენერალურ მდივან სტოლტენბერგს ესაუბრა. რასაკვირველია, პირველი კითხვა „რუსთავი-2“-ს ეხება.

— რას იტყვით, ბატონო გენერალურო მდივანო, საქართველოში მასმედიის და, კერძოდ, ჩვენს არხზე, რომელსაც მაინცდამაინც არჩევნების წინ მთავრობა დახურვას უპირებს როგორც ერთადერთ ყველაზე მართლის მთქმელ არხს.

— ეგ დაუშვებელია. როდესაც მე პრემიერ-მინისტრი ვიყავი, ნორვეგიის ერთ-ერთი არხი მთელი ოცდაოთხი საათი მაკრიტიკებდა, მაგრამ საყვედურიც არ მითქვამს, — ეუბნება გენერალური მდივანი, რომელსაც კორესპონდენტი უსირცხვილოდ ატყუებს, რომ აქ საქმე არა მთავრობის კრიტიკაშია, არამედ ყაჩაღურად წართმეული ქონების კეთილსინდისიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებაში და სამართლიანობის აღდგენაში.

და ჩემდა უნებურად წამომაგონდა ერთი ცნობილი ნორვეგიელი მწერლის ფრაზა: „**იმისთვის, ვინც საქმეში ბოლომდე გარკვეული არ არის, ყველაფერი ადვილად დასაჯერებელია**“.

ამის შემდეგ, ალბათ, არც უნდა გვიკვირდეს, რატომ არის საქართველოში „ცრუსთავი-2“-ისგან ამდენი მოტყუებული.

უკანონო კანონი

— **ნაციონალები** ერთადერთი პარტია ვართ, რომელსაც შეუძლებელია ძველ შეცდომებზე ისწავლოს და ის აღარ ქნას, რასაც ადრე ხალხის არმოსაწონს სჩადიოდა, — ტრაბახობს გია ბარამიძე „მაესტროს“ ეკრანზე.

— ესე იგი, სვანეთს აღარ დაბომბავთ და აღარც ახალგაზრდებს ჩახოცავთ ქუჩებში? ციხის ცოცხებზე აღარაფერს ვამბობ... — ეუბნება ჟურნალისტი.

— ჩვენ არავინ არ დაგვიბომბავს და არც ჩაგვიხოცავს, ამას კანონი ითხოვდა. ჩვენ კანონის მოთხოვნებს ვასრულებდით. ასე რომ, ნამდვილად ყველაზე დიდი გამოცდილების პარტია ვართ.

და ყურში ჩამესმის მავანი სიმწარენაწვნევი კაცის ნათქვამი: გამოცდილება განვლილი წლების სისწრაფით მოდისო.

„კავკასიაში“ დაფრთიანებული

როგორ წარმოვიდგენდი, რომ თბილისის ყოველი კუთხე-კუნჭულის უბადლო მცოდნე და სიმართლისთვის თავგადაკლული თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, აქუს „კავკასიაში“ დაფრთიანებული ალეკო ელისაშვილი ამ დონეზე შეცდებოდა და ერთგვარ სისულელეს წამოროშავდა...

— ზოგიერთი მოღვაწის ოჯახი ისეთ მოუთმენლობას იჩენს, რომ გარდაიცვლება თუ არა ეს მოღვაწე, იმ წუთსავე ითხოვს იმისთვის ძეგლის დადგმას, ანდა რომელიმე ქუჩისთვის იმის სახელის მიკუთვნებას. სწორედ ამ მოუთმენლობის გამო მოხდა, რომ ლერმონტოვის ქუჩა შუაზე გაყვეს და ნახევარს გიგა ლორთქიფანიძის სახელი დაარქვეს.

არადა, გიგა აქ არაფერ შუაშია. ეს ლორთქიფანიძე, გრიგოლი, ძველი რევოლუციონერი და დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრი იყო.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, თუ წამოროშავ, ისეთი სისულელე მაინც თქვი, რომ შენმა უცოდინარობამ ცოტა გაგვახალისოსო.

მზია ბებია... დეპუტატად!

— **ღმერთო** მაღალო, რაღა არა ხდება ამ ცოდვილ დედამიწაზე! როგორც შევატყვე, მსოფლიო ისტორიამ არ იცის, რომ ძებნილი პრეზიდენტის თანამეცხედრე დამნაშავე პარტიას ახალ არჩევნებში დეპუტატად წამოეყენებინოს.

— ცოლი კი არა, ბატონო, ამბობენ, ადგილობრივ არჩევნებში მზია ბებიას და გიული დედასაც წამოაყენებენო, — ეუბნება „ობიექტივში“ ერთი მოსაუბრე მეორეს.

და ამაში დიდად დაუჯერებელი არაფერია.

„ობიექტივი“ არასოდეს სუბიექტური არ არის...

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

პროქართული დიპლომატის პასუხი თავდაყირა მოაზროვნე პოლიტიკოსებს და ექსპერტებს

თედო ჯაფარიძე:

საქართველო – დასავლეთის ბუნებრივი პარტნიორი რეგიონში

კიდევ ერთი უაღრესად სენსიტიური თემა – ნეიტრალიტეტი თუ ე.წ. „უბლოკო სტატუსი“ – და ამ კონტექსტში რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივები. ნეიტრალიტეტის თუ ე.წ. „უბლოკო სტატუსის“ რეჟიმის გამოცხადება მხოლოდ რუსეთის მხრიდან აგრესიის რისკის შესუსტებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა და არა უსაფრთხოების გარანტია. უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, რაიმე „გარანტიებზე“ საუბარი ძნელია და ამ საკითხებზე მხოლოდ რუსეთის დუმის თავმჯდომარესთან საუბარი არ არის საკმარისი. ჩვენი ყოფილი „უფროსი ძმის“ ფორმულა – „ან ჩვენთან, ან ჩვენს წინააღმდეგ“, დღევანდელი მსოფლიოს განვითარების კონტექსტიდან სრულიად არის ამოვარდნილი. არავინ იცის, თუ რა შინაარსს დებს ჩვენი დიდი ჩრდილოელი მეზობელი სიტყვაში „ჩვენთან“. ნიშნავს თუ არა ეს, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას? ეს შეგვითვალა ბატონმა ნარიშკინმა ქალბატონ ნინო ბურჯანაძის პირით? ამას ითვალისწინებს საქართველოს ე.წ. „უბლოკო სისტემაზე“ გადასვლა? უკვე 25 წელია, ვერ გაგვიგია ამ მოწოდების არსი და ამის მკაფიოდ არტიკულირებას ვერც თავად რუსეთი და ვერც მათი ადგილობრივი, ე.წ. „პრორუსული“ ელემენტებიც, მკაფიოდ ვერ ახერხებენ.

ჩვენთვის საინტერესო იქნებოდა, გვცოდნოდა, თუ რას ფიქრობენ „უბლოკო“ სტატუსზე ევროპელები, ამერიკელები, ჩვენი უახლოესი მეზობლები – თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი. როდესაც საუბარია „გარანტიებზე“, მხოლოდ ერთი ქვეყნის „დაპირებების“ იმედად ყოფნა – თანაც ისეთი ქვეყნის, რომელთანაც ჩვენ რბილად რომ ვთქვათ „რთული ისტორია“ გვაკავშირებს – უაღრესად სახიფათოა. მოგეხსენებათ, რომ შესაძლოა (და ეს ალბათ ასეც არის) ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს ამ სტატუსის თავისი ინტერპრეტაცია გააჩნიათ. ვეთანხმები ჩვენს მეცნიერებს და ექსპერტებს, რომ ჩვენი გეოგრაფიის და წარსულის მქონე ქვეყანა უკიდურესი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ასეთ თემებს.

9. რატომ არის საქართველო ღირებული დანარჩენი მსოფლიოსთვის და რატომაა დანარჩენი მსოფლიო ღირებული ჩვენთვის

კიდევ ერთი, ასევე მგრძნობიარე თემა. **ჩვენს საზოგადოებაში ზოგჯერ ისმის აზრი, რომ თითქოს დასავლური ფასეულობები ჩვენს ტრადიციებსა და რწმენას ეწინააღმდეგება. მერწმუნეთ, რომ ამერიკასთან და ევროპასთან ურთიერთობები არ არის დაკავშირებული იმ ფასეულობების ნიველირებასთან ან განადგურებასთან, რომლებიც საქართველომ საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა.**

დასავლეთში არანაკლებ ფაქიზად ეპყრობიან და იცავენ ოჯახურ ტრადიციებსა და რელიგიურ ფასეულობებს. მათი მთავარი ინტერესია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების (მათ შორის რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების უფლებების) დაცვის გაძლიერება და ამავდროულად ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნება. ადამიანის უფლებების დაცვა დასავლეთისთვის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა, რადგან ეს განსაზღვრავს მათი სახელმწიფოების უსაფრთხოებას და საზოგადოების სტაბილურობასაც. სწორედ ამიტომ ეს პოსტულატი მათი საგარეო პოლიტიკის განხორციელების პრიორიტეტებშია, მათ შორის ორმხრივ ურთიერთობებშიც, თუმცა ამ პრიორიტეტის ცხოვრებაში გატარება დასავლეთის მიერ ზოგჯერ ხისტად, ახსნის გარეშე ხდება და სხვადასხვა ქვეყნებში არასწორი ინტერპრეტაციის საბაბს იძლევა. ამ პოლიტიკურ თუ ემოციურ აღრევას ჩვენი არაკეთილისმსურველი, სხვადასხვა მანიპულატორული ტექნოლოგიის გამოყენებით, საკუთარი ინტერესების გატარებისათვის, არასტაბილური კერების შექმნისათვის იყენებს. ევროპასა და ამერიკაში არავინ ცდილობს საქართველოს „დაჩაგვრას“ და ამ მგრძნობიარე თემების თავზე მოხვევას. ჩვენ გვაქვს ჩვენი ტრადიციები და შეხედულებები, რომლებიც უნდა მტკიცედ დავიცვათ, მაგრამ არა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების შეურაცხყოფის, მათ შორის ფიზიკური ძალადობის გამოყენებით.

დასავლეთისთვის კი რაც უფრო მეტი იქნება დემოკრატიის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების „კუნძულები“ ევროპისა და ამერიკის პერიმეტრზე, მით უფრო უსაფრთხო იქნება მთლიანად ევროატლანტიკური სივრცე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც სახეზეა ისეთი ახალი ასიმეტრიული და არატრადიციული საფრთხეები, როგორიც, მაგალითად საერთაშორისო ტერორიზმია. და აქედან გამომდინარე, ცივილიზაციების, ენერგო და სავაჭრო დერეფნების გზაჯვარედინზე მყოფი საქართველოს, როგორც ძლიერი, სტაბილური და დემოკრატიული პარტნიორის, არსებობა „ევროპის აღმოსავლეთით“, თავად ევროპისა და ამერიკის უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტიაა.

10. უნდა ვიყოთ აღეკვატურები, რაციონალურები და პრაგმატულები

საქართველოს უახლეს ისტორიას თუ გავიხსენებთ, ჩვენ სულ „რთულ პერიოდში“ გვიხდებოდა ცხოვრება – ჯერ ტოტალიტარული დიქტატურის რეჟიმში გავატარეთ 70 წელი და მერე კი, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვესწარით ნეობოლშევიზმის „რიმეიკის“ მცდელობასაც. კარგად გვახსოვს, თუ როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობდით 2003 წლიდან 2012 წლამდე. სახელმწიფოში, სადაც ტოტალური შიშის სინდრომი სუფევდა, „ფასადური“, „მანიპულატიური“ დემოკრატიის აღზევებას ჰქონდა ადგილი და რომელშიც უფრო მეტი იყვნენ ე.წ.„დემოკრატები“, ვიდრე თავად დემოკრატია და სადაც ერთი ადამიანის და მასთან დაახლოებული ჯგუფის განწყობებზე, შეხედულებებზე და ხშირად ახირებებზე იყო დამოკიდებული მილიონობით ადამიანის, მათი ოჯახებისა და ახლობლების ბედი. „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ საქართველოში, „სახელმწიფოს ხერხემლად“, დემოკრატიული ინსტიტუტების და კანონიერების მაგივრად, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო გამოცხადებული, ხოლო თავდაცვის მინისტრი ერთ დღეს რთვლის ჩატარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საზღვრებს გარეთ გატანის საკითხებით იყო დაკავებული, ხოლო მეორე დღეს უკვე განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

საერთოდ, არ შეიძლება სახელმწიფო იყოს „დემოკრატიული“ და ამ დროს მასში პოლიციური სახელმწიფოს ელემენტები ჭარბობდეს, როგორც ეს სააკაშვილის ხელისუფლების დროს ხდებოდა. ამას ყველაფერს, ერთმა დასავლელმა მკვლევარმა მოსწრებულად „დემოკრატურა“ უწოდა, რომელშიც ხშირად იკვეთებოდნენ ჯონათან სვიფტის და ჯორჯ ორუელის ტრაგიკომიკური იდეები და პერსონაჟები, რაც თითქოს სიცილის მომგვრელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საპირისპირო ემოციებს იწვევდა.

საერთოდ, არ შეიძლება სახელმწიფო იყოს „დემოკრატიული“ და ამ დროს მასში პოლიციური სახელმწიფოს ელემენტები ჭარბობდეს, როგორც ეს სააკაშვილის ხელისუფლების დროს ხდებოდა. ამას ყველაფერს, ერთმა დასავლელმა მკვლევარმა მოსწრებულად „დემოკრატურა“ უწოდა, რომელშიც ხშირად იკვეთებოდნენ ჯონათან სვიფტის და ჯორჯ ორუელის ტრაგიკომიკური იდეები და პერსონაჟები, რაც თითქოს სიცილის მომგვრელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საპირისპირო ემოციებს იწვევდა.

მინდა, შევეხო კიდევ ერთ პრობლემას, რომელიც თანამედროვე დასავლურ სამყაროს ახასიათებს და რომლის გაცნობიერებაც აუცილებელია, რომ საქართველომ წარმატებული საგარეო პოლიტიკა გაატაროს და ამგვარ პრობლემებზე მსჯელობისას საკუთარი ადეკვატურობა და ზომიერება დაანახოს გარე სამყაროს. ამგვარ თემებზე ჩვენთან თითქმის ყველა, ყოფილი თუ მოქმედი პოლიტიკოსი, ექსპერტი, ჩვეულებრივი მოქალაქეც კი გამოთქვამს საკუთარ აზრს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ: მოგეხსენებათ, საქართველოში ყველას აქვს პრეტენზია, ფეხბურთსა და პოლიტიკაზე ილაპარაკოს! ამგვარი განსჯის დროს, მე მხოლოდ ზომიერებისა და ადეკვატურობის დოზირებას მინდა გავუსვა ხაზი, საილუსტრაციოდ კი ე.წ. „ბრექსიტის“ პროცესი გამოვიყენო. ვინც არ დაიზარა, ყველამ გააკეთა „სტრატეგიული ხასიათის“ კომენტარი, მაგრამ უმრავლესობა ვერ ჩაწვდა ამ მოვლენის სტრატეგიულ კონტექსტს და იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ ამ ახლადშექმნილ და, მე ვიტყოდი, უაღრესად მგრძნობიარე სიტუაციაში.

ძალიან მოკლედ: საქმე ის გახლავთ, რომ დღეს დასავლეთის სახელმწიფოების საზოგადოებები (აშშ, ევროპა) გაყოფილია ორ დაპირისპირებულ ბანაკად. ერთი მხრივ, ესენი არიან მემარჯვენე, ნაციონალისტურად, ანტიგლობალისტურად განწყობილი ძალები, ხოლო მეორე მხრივ კი მემარცხენე, ინტერნაციონალისტური, ინტეგრაციონისტული, გლობალისტური ძალები. „ბრექსიტი“ შეიძლება დიდ ბრიტანეთში პირველი ბანაკის გამარჯვებად განვიხილოთ, რამაც შეიძლება მსგავსი მოვლენები გამოიწვიოს სხვა სახელმწიფოებშიც. საქართველოს ხელისუფლება პატივს სცემს ყველა დასავლური სახელმწიფოს საზოგადოების ნებას და ყურადღებით აკვირდება პარტნიორ ქვეყნებში ამ მიმართულებით განვითარებულ მოვლენებს.

11. განსჯისათვის: არ დავივიწყოთ წარსულის შეცდომები და შევეშვათ „ველოსიპედის გამოგონებას“

ზემოთ მინდოდა საბოლოო წერტილის დასმა, თუმცა ვგრძნობ, რომ კიდევ რაღაცის თქმის სურვილი დამრჩა და სწორედ ამ დროს ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ვრცლად უკვე აღვწერე ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში.

საქმე ეხება პირველი დემოკრატიული მთავრობის ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ უნიკალურ საარქივო მასალას, რომლის დიდი ნაწილი თავის დროზე საქართველოში აწ განსვენებულ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 166, 167, 168

მა გურამ შარაძემ ჩამოიტანა და ეს დოკუმენტები ჩვენს ეროვნულ არქივს დაუბრუნდა. სიტყვა „ნაწილი“ იმიტომ ვიხმარე, რომ მოგვიანებით ჰარვარდის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ამ არქივის კიდევ ერთი შეკვრა „აღმოაჩინა“ და მე პირადად გადმომცა. აქ ინახებოდა საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის წევრების პირადი მიმოწერა (რომელიც ასევე ჩვენს ეროვნულ არქივს დაუბრუნდა).

ჩემში განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ნოე რამიშვილისადმი მიწერილმა წერილმა, რომელიც იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებდა. ერთი ფრაგმენტი დღესაც არ ამომდის გონებიდან და წერილის სწორედ ეს ნაწილი მსურს — მხოლოდ განსჯის სახით — გავუზიარო მკითხველს (სტილი შენარჩუნებულია): „სამი წელი ისე დავკარგეთ, რომ ერთი მეგობარი-მფარველი ვერ ვიშოვეთ და არა იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა, არამედ ჩვენ თვითონ არ ვცდილობდით ამას. მთელი ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, ან უკეთ — აპოლიტიზმი, მიმართული იყო იქითკენ, რომ დაგვეფრთხო უცხოელნი... ახლა გვიანაა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, სამწუხაროდ მომავალშიც არ ვართ დაზღვეული, რომ წარსულ შეცდომებს არ გავიმეორებთ! ძალიან გატეხილი გვაქვს სახელი... არ არის ისეთი უცხოელი ვაჭარ-მრეწველი, ვინც ჩვენთან ყოფილა და არ გვაგინებდეს... ასე არ შეიძლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. სადაც პასუხისმგებლობა არაა, იქ არ არის სახელმწიფო“.

კითხულობ ამას ყველაფერს და გიჩნდება შეგრძნება, რომ ზოგჯერ თითქოს ყოველდღიურ დეჟა ვიუსთან გაქვს შეხება: იგივე გამოწვევები, იგივე შეცდომები, იგივე იმედგაცრუება, იგივე განცდა და იგივე რთული რეალობაა, რომელიც რადიკალურად იცვლება უკეთესობისაკენ 2012 წლიდან — ჩვენ უკვე სხვა საქართველოში ვცხოვრობთ. ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის წელგამართული, ისევ არსებობს უამრავი პრობლემა, მაგრამ სწორ გზას ვადგავართ, უფრო სწორად კი ამ გზის დასაწყისში ვიმყოფებით. აქედან გამომდინარე, ტრანსფორმაციის ამ პროცესს დროდადრო გარკვეული რყევები ახასიათებს, თუმცა მიზნისაკენ სვლა შეუქცევადია. სამწუხაროდ ამგვარი ძირეული ცვლილებები უცებ არ ხდება და ამას, როგორ წესი, დრო სჭირდება, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება ამ გზას არ გადაუხვევს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სურს თავად იყოს წარმატებული, არამედ უფრო იმიტომ, რომ საქართველო და მისი მომავალი თაობები იყვნენ წარმატებულები.

სწორედ ამაშია განსხვავება წინა ხელისუფლებასა და დღევანელს შორის. სააკაშვილი და მისი მთავრობაც ატარებდა რეფორმებს — და ეს მათ არ უნდა დავუკარგოთ — მაგრამ მთავარი შეცდომა, რომელიც „ვარდოსნებმა“ დაუშვეს, გახლდათ ის, რომ ამ რეფორმების შედეგები ხალხამდე ვერ მივიდა. იყო გამჭვირვალე, კაშკაშა პოლიციის შენობები, შენდებოდა „ევროპული ციხეები“, მაგრამ შიგნით რაც ხდებოდა, სააშკარაოზე არ ჩანდა ან რაც ხდებოდა, ის 2012 წელს გამოჩნდა; შენდებოდა ცათამბჯენები, ფეშენებელური სასტუმროები და საცხოვრებელი სახლები, მაგრამ ეს ყველაფერი ე.წ. „პოტიომკინის სოფლებს“ უფრო წაგავდა. ე.წ. „დემოკრატიული პირამიდის“ მშენებლობამ, იმ გეგმით, რომელიც დასავლეთმა საქართველოს შესთავაზა, ანუ ზემოდან ქვემოთ (რაც საიჟინრო ნონსენსია,) ლოგიკურია, რომ კრახი განიცადა. დემოკრატიის შენებას სათანადო და საწყისი დემოკრატიული საძირკველი სჭირდება, ანუ საზოგადოება, რომელიც მზადაა ყველა სახის დემოკრატიული რეფორმებისა და ცვლილებებისთვის.

რატომ ვიხსენებ წარსულის გაკვეთილებს? რთულ გზას დავადექით და ამიტომაც ჯერ კიდევ 1918-1921 წლებიდან დღემდე ვცდილობთ თავი დავაღწიოთ რაღაც უხილავ მოჯადოებულ სივრცეს. გამუდმებით მაქვს შეგრძნება, თითქოს წლებში გარინდულ, ავბედით წრეზე დავდივართ, თითქოს ვერ ვსწავლობთ, თითქოს არად მივიჩნევთ მწარე გამოცდილებას.

ამიტომაც მოვინდომე აკაკი ჩხენკელის ეს თითქმის ასი წლის წინანდელი სევდიანი ნააზრევი და მისი დღევანდელ რეალობაში გასიგრძეგანება თქვენც გაგიზიაროთ. უცნაურია, როგორ მეორდება ყველაფერი. ადამიანურ ცხოვრებაში არაფერი მარტივი არ არსებობს. მითუმეტეს პოლიტიკაში. კიდევ უფრო, დიდ პოლიტიკაში. მიჩნდება ერთი შეხედვით თითქოს რიტორიკული, მაგრამ ვფიქრობ, ფრიად აქტუალური და არცთუ მარტივი კითხვები და მოსაზრებები, რომელთა შესახებ ზემოთ მოგახსენეთ... ისევე, როგორც თქვენც, არა?

აი, ეს კითხვები... როდემდე უნდა ვეცადოთ ველოსიპედის თავიდან გამოგონებას? როდემდე უნდა დავუშვათ უმარტივესი შეცდომები? როდემდე არ უნდა ვისწავლოთ ჩვენივე შეცდომებზე? როდემდე უნდა უგულებელვყოთ საკუთარი თუ სხვისი გამოცდილება და მუდმივად ვანგრიოთ ის, რაც ჩვენამდე შექმნილა? როგორც ამას ერთი ჩემი ძველი მეგობარი და ცნობილი ქართველი დიპლომატი იტყოდა, როდემდე უნდა შეგვეშალოს საკუთარი ზომა, წონა და შესაძლებლობები?

გულით ვცდილობდი პასუხების მოძებნას. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, ზედმეტად ხისტი მოგეჩვენოთ, ან სულაც არაადეკვატური ან თუნდაც ემოციური. დანარჩენი კი თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო.

რესპუბლიკური და ონკოლოგიური საავადმყოფოები არ გაიყიდება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია „რეპორტიორთან“ საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისა და ჯანდაცვის სამინისტროს სამომავლო გეგმების შესახებ საუბრობს.

— ბიძინა ივანიშვილმა ჯანდაცვის რეფორმის პრობლემებზე ისაუბრა. კონკრეტულად ჯანდაცვის რეფორმას რა პრობლემები აქვს?

— არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ყველაფერი იდეალურად არის. საყოველთაო ჯანდაცვა სერიოზული პროექტია, რომელმაც ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ამ პროექტის პირველი ეტაპი გავიარეთ ძალიან კარგად, მაგრამ გვინდა, რომ ხარჯეფექტური გავხადოთ. ასევე აუცილებლად გასატარებელია პირველადი ჯანდაცვის რეფორმა. ექიმების კვალიფიკაციასთან და განათლებასთან დაკავშირებითაც ვმუშაობთ. ინფრასტრუქტურის მხრივ, ბევრი კლინიკა და ამბულატორია, კერძო საკუთრება გახდა, რამაც გამოიწვია ის, რომ სახელმწიფოს ცოტა რამ დარჩა. ამის გამო მთიან რეგიონში სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. კერძო კლინიკებმა რამდენიმე სამედიცინო სერვისი გააუქმეს, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია, ყველა სამედიცინო სერვისი იყოს აღდგენილი და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი. მოგვიწია ბევრი კლინიკის გამოსყიდვა და ვაპირებთ კიდევ ამ პროცესის გაგრძელებას. რესპუბლიკური და ონკოლოგიური საავადმყოფოების მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. არ ვაპირებთ ამ კლინიკების გაყიდვას. აღნიშნულ კლინიკებში

კერძო და სახელმწიფოს ერთობლივი საწარმოები შეიქმნება. ვფიქრობთ, რომ ეს მოდელი დღევანდელ სიტუაციაში ჩვენთვის ყველაზე მისაღებია.

— საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა რამდენ ადამიანს დაეხმარა?

— ამოქმედების დღიდან, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობა 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო. საკმაოდ დიდი ციფრია. ეს იმ ადამიანების კატეგორიაა, რომლებიც ელემენტარულ სისხლის ანალიზს ვერ იღებდნენ. საყოველთაო ჯანდაცვამ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა, როგორიცაა ქიმიოთერაპია, გადაუდებელი ოპერაციები, ონკოლოგიური დაავადებები, ბავშვთა მკურნალობა.

— C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა რამდენად წარმატებული აღმოჩნდა?

— C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა ძალიან წარმატებულია. ის არის უნიკალური, რადგან მსგავსი ელიმინაციის პროგრამა არსად განხორციელებულა. ამ პროექტში გვყავს სოლიდური პარტნიორები, როგორიცაა აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი (CDC) და კომპანია „Gilead“. მათთან თანამშრომლობა ინტენსიურად მიმდინარეობს და ვითარდება. აპრილის თვეში, „Gilead“-თან ათწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, რომელიც გულისხმობს C ჰეპატიტის სამკურნალოდ უნიკალური მედიკამენტების მოწოდებას. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტი კარგად მიმდინარეობს.

— C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ამჟამად რამდენი პაციენტია ჩართული? იგეგმება თუ არა რაოდენობის გაზრდა?

— 21 500-მდე პაციენტია დარეგისტრირებული. თბილისში C ჰეპატიტის მართვის ცენტრი გავაკეთეთ, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. უფრო დიდი მსგავსი ცენტრი კეთდება სამეგრელოს რეგიონში, რომელიც ოქტომბრის თვეში, ზუგდიდში გაიხსნება. დღევანდელი მონაცემებით, 20 374 პაციენტი მკურნალობს. 9 600-მდე პაციენტმა მკურნალობა დაასრულა. გამოჯანმრთელების მაჩვენებელი 90%-ია, რაც ძალიან მაღალია. კომპანია „Gilead“-თან როდესაც ხელშეკრულებას ვდებდით, ავიღეთ პასუხისმგებლობა, რომ წელიწადში დაახლოებით 25 000-დან 30 00-მდე პაციენტს ვუმკურნალებდით. მედიკამენტებს კომპანია სრულიად უფასოდ გვაწვდის, თუმცა ხარჯები მაინც აქვს C ჰეპატიტის პროგრამას. ზოგიერთ შემთხვევაში არის ისეთი რეჟიმები, როდესაც სხვა პრეპარატები სჭირდება, გარდა „ინტერფერონის“ და „რიბოვერინისა“, რომლის ყიდვაც აიღო სახელმწიფომ თავის თავზე. ასევე ვაფინანსებთ გამოკვლევებს, 70 %-ს ვუფინანსებთ უმწეოებს, დანარჩენ 30 %-ს თვითმმართველობითი ორგანოები აფინანსებენ.

— რა თანხები დაიხარჯა საყოველთაო ჯანდაცვაზე, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაზე?

— საყოველთაო ჯანდაცვაზე წელს ბიუჯეტი 570 მილიონი ლარია. გარკვეული წლების განმავლობაში ბიუჯეტმა მოიმატა. ეს არც ისე დიდი თანხაა. როდესაც მსოფლიო ბანკმა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ გააკეთეს პრეზენტაცია, ჩვენი პროექტების მინუსად გვითვლიან, რომ დანახარჯი უნდა იყოს უფრო მეტი. არ ვთვლით, რომ ჯანდაცვაზე ძალიან ბევრს ვხარჯავთ. იმედია, ქვეყნის განვითარება მოგვცემს საშუალებას, რომ უფრო მეტი თანხა დაიხარჯოს ჯანდაცვაზე და უფრო მეტი პროექტი განხორციელდეს.

— კონკრეტულად რას გულისხმობს პირველადი ჯანდაცვის რეფორმა და რა შედეგების მომტანია?

— პირველადი ჯანდაცვის გარეშე საერთოდ ჯანდაცვა წარმოუდგენელია. სერიოზული პრობლემები შეგვექმნა იმის გამო, რომ წინა წლების განმავლობაში პირველადი ჯანდაცვა მოშლილი იყო. ყველა ამბულატორია და სამედიცინო დაწესებულება ფაქტიურად აღმოჩნდა კერძო პიროვნების ხელში. პირველადი ჯანდაცვა არის საძირკველი, თუნდაც ხარჯების შეკავების თვალსაზრისით. დღეს პირველადი ჯანდაცვის არარსებობის გამო ნებისმიერი პაციენტი, თუნდაც ისეთი დაავადებით, რომელიც არ არის სტაციონარული მკურნალობის, მაინც მიდის სტაციონარში, სადაც იღებს ძალიან ძვირ დახმარებას. პირველადი ჯანდაცვის პლუსი იქნება ოჯახის ექიმები, რომლებიც მუდმივად ჩართულები იქნებიან პაციენტის მკურნალობაში. დათვლილია, რამდენი პირველადი ჯანდაცვის ობიექტი უნდა იყოს საქართველოში. სქემა იქნება ასეთი, პაციენტი პირველად მიმართავს პირველადი ჯანდაცვის ცენტრს და თუ მისი მკურნალობა შეესაძლებელია ოჯახის ექიმის დონეზე, ის დარჩება და მკურნალობას გააგრძელებს, არ წავა სტაციონარში, რა თქმა უნდა, მკურნალობის ხარჯები შემცირდება. თუ ვთქვათ, მკურნალობის გაგრძელება ესაჭიროება პაციენტს, ის გადავა სტაციონარში და თუ ძალიან მძიმე შემთხვევაა, ისინი შემდეგი დონის სტაციონარში მოხვდებიან. ამ სქემაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. გარკვეული მონახაზები არსებობს და ყველაფერთან ერთად ეს მოგვცემს საშუალებას, ძალიან ბევრი დაავადების წარმოქმნის პრევენციაზე ვიზრუნოთ, მითუმეტეს, რომ მკურნალობა უკვე ხარჯიანია პრევენციისგან განსხვავებით.

— საქართველოში კერძო კლინიკების რაოდენობა იზრდება. ეს რაიმე სახის პრობლემას ხომ არ უქმნის სახელმწიფო საავადმყოფოებს და გატარებულ რეფორმებს?

— სახელმწიფო საავადმყოფოები ცოტაა. მინდა ვთქვა, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საშუალება, საავადმყოფოების გარკვეული რაოდენობა შეინარჩუნოს. თვითონ კერძო სექტორის განვითარება არანაირად არ ქმნის პრობლემას. თუ განვითარდებიან კერძო კლინიკები, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდნენ ხარისხს, რომლის კონტროლიც ჯანდაცვის სამინისტროს გასაკეთებელია. კერძო კლინიკები ერთმანეთს გაუწევენ კონკურენციას, რაც ძალიან კარგია, რადგან ფასები დაიწევს და ხარისხი აიწევს. არ ვთვლი, რომ კერძო სექტორი პრობლემას გვიქმნის. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორი ვერ განვითარდებოდა სახელმწიფოს გარეშე. რომ არ ყოფილიყო საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმა, არა მგონია, საქართველოში ამდენი კერძო კლინიკა აშენებულიყო.

— დამატებით კიდევ რა რეფორმების განხორციელებას გეგმავს ჯანდაცვის სამინისტრო?

— ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ინფრასტრუქტურული რეფორმები, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება. იხსნება ახალი სახელმწიფო კლინიკები. ზუგდიდის ტერიტორიაზე შენდება საავადმყოფო, რომელიც იქნება საუნივერსიტეტო კლინიკა და მოემსახურება როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აფხაზეთის მოსახლეობას. ამის გარდა, მომავალი წლისთვის ინფექციური საავადმყოფო აშენდება. ექიმების მომზადება, პირველადი ჯანდაცვის მიმართულება, ეს ყველაფერი არის პრიორიტეტები ჩვენი სამინისტროსთვის.

ესაუბრა
ანა ნონიკაშვილი



ნომადი ბართაია

მარტო იმიტომ ღირს მზის ამოსვლა, რომ უხარიათ ბულბულებს ასე...

რა არის, მაგრამ, მაინც მეამა,
გუშინ ქუჩაში შემხვდა ნაცნობი
და ასე მითხრა –
ერთი კვირის წინ
გაჩერებასთან დაგინახეო...

ნომადი გართაიას ამ ლექსმა თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილი ერთი საკვირველი ლექსი მომაგონა.

პოეტი აღწერს პეიზაჟს, წვრილად, პიტა-პიტა, აღწერს ხეებსა და ყვავილებს, ჩიტებს, რასაც ხედავს და ლექსის ფინალში გვეუბნება:

ხომ კარგად ვიცი, ეს ყველაფერი,
რომ არ არსებობს სინამდვილეში,
მაგრამ ყველაზე საოცარი სწორედ ის არის,
რომ გვეჩვენება, ყველაფერი თითქოს
არსებობს.

ეს ლექსი რომ მოვიგონე, ჩვენ შორის ასეთი საუბარი შედგა:

ნომადი ბართაია: ახალი რაა ცისქვეშეთში, მე რომ მოვიწერო.

მე: აგერ თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც შენი ლექსი მახსოვს, ზეპირად ვიცი, რაც ნიშანი და მაგალითი მგონია იმის, თუ რა არის პოეზია. ანუ, რა არის პოეზიის ენით გამოთქმული ჩვენი ცხოვრება, არის, და არც არის. შენ ხომ ამბობ, **„რა არის, მაგრამ მაინც მეამაო“**. ნაცნობმა დაგიდასტურა, რომ ხარ, რომ არსებობ, რომ დაგინახა. აქ სინამდვილე და მისტიკა ერწყმის ერთმანეთს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოფელი და ზესთასოფელი.

ნომადი ბართაია: თამაზ ჩხენკელის უებარმა თარგმანებმა დიდი გავლენა იქონია ჩვენი თაობის პოეტებზე. განსაკუთრებით მისმა ბო ძიუ-იმ. ჩინური უნდა მესწავლა და სპარსული ენის შესწავლა მომიწია, რაშიც ლომის წილი გაიღო ცხონებულმა მაგალი თოდუამ. სპარსული პოეზია – მთქმელია, ჩინური – მხატვარი. სპარსული ენისადმი დამოკიდებულება ტრადიციით მოგვდევს. ჯერ კიდევ როდის გადმოვაქართულეთ „ვისრამიანი“, ჩვენი დედა-ენის ზეიმი და დღესასწაული. რუსთაველიდან მოკიდებული ვეწაფებით სპარსულ ენასა და სპარსულ კულტურას. სპარსულს, ესე იგი, კარგსა და ლამაზს, მშვენიერს. რუსთველი რომ ამბობს, „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანებიო“, სპარსულიდან გადმოღებულს კი არ ნიშნავს, რაც არაერთ მეცნიერს აფიქრებდა და აეჭვებდა. არამედ, ნიშნავს კარგსა და ლამაზს, მშვენიერს, მსგავსს, ესე ამბავი სპარსულის მსგავსიაო, ესე იგი, ასე გვეუბნება პოეტი და ასეც უნდა წავიკითხოთ.

მე: ამ საუბარმა შენი „ირანული ჩანახატები“ მომაგონა:

„ხაიამის სასუფევლის ბაღში შესულებს ფირნიშზე ასეთი წარწერა დაგვხვდა: **„თქვენ თუ ყვავილებს მოწყვეტთ, ამით ბულბულებს გაანაწყენებთ“**. ეს ხომ პოეზიაა, მაგრამ მე სხვა გამონათქვამი უფრო მომწონს:

„რა უთხრა ბულბულმა ამ ვარდს ისეთი,
რომ ასე ზეზეულად ჩამოხმა“.

ნომადი ბართაია: ზეზვას თარგმანია, ალბათ.

მე: აქვე, ხაიამის საფლავთან შენ ერთ სურათს შევესწარი, რაც ხსოვნიდან არ ამომდის.

ნომადი ბართაია: „იქ ყოფნისას, მოულოდნელად ბაღის გვერდითა ჭიშკრიდან, მიცვალებული შემოასვენეს. პროცესიამ ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა ჩვენს წინ და ცხედარი, წესის ასაგებად, იქვე მდებარე მეჩეთისკენ წაასვენეს. ისე წამიერად გაკრთა ყოველი, თითქოს განგებამ ხაიამის საფლავთან, ჩვენს თვალწინ, წუთისოფლის ამაოების სურათი წარმოგვიდგინა“.

გააყოლე თვალი, ძვირფასო მკითხველო, პოეტის მიერ აღწერილ სურათს: სად არის, ვის საფლავთან და რას შეესწრო. თან ის მცირე შედეგრიც მოიგონე, რაც ამ ესეის თავში მოვიტანე.

საკვირველია ნომადი ბართაიას მიერ აღწერილი ნეგისმიერი მოვლენა, სურათ-ხატი, ხედი, პეიზაჟი, მის მიერ აღქმული ფანტასტიური რეალიზმი.

„მართალ **საუბარი ყმაწვილს ჰკითხე“**.

ეს ფერეიდნელი ქართველის გამონათქვამია. ბავშვს ჰკითხეო, ესე იგი, ბავშვი არ მოიტყუებაო.

„მე რაც შემიძლია, ას ბავშვსაც შეუძლია“, ამბობს მაჰათმა განდი.

ნომადი ბართაია ისე აღიქვამს საგან-მოვლენას, როგორც ბავშვი. მირიადი გამონათქვამიდან გავიხსენოთ პიკასოს გამონათქვამი: **„ყველაზე კარგი მხატვრები ბავშვები არიან“.**

ახლა ვნახოთ პოეტის, მოხუცი-ბავშვის მიერ დანახული პატარა ბავშვი:

„ისე მორბოდი ათი წლის ბიჭი,
თითქოს ქვეყანას გასაოცარ ამბავს ამცნობდი,
რომ შეგეკითხე, რა მოხდა-მეთქი,
შეცბი და მითხარ, – არაფერიო!“

სხვა ვინ მიატანდა თვალს, პოეტის გარდა, ასეთ სურათს:

„ო, რომ იცოდე, ჩემო მკითხველო,
როგორ გავიხარე მაშინ,
მამას და, ასე, შვიდიოდ წლის ბიჭს
ველოსიპედი მიჰყავდათ სახლში“.

მიჰყავდათო, მრავლობითშია ნათქვამი (აქ კარგი იქნებოდა, პლატონის გენიალური „ფედონიდან“ მოგვეტანა სოკრატეს ნააზრევი ერთისა და ორის შესახებ. ანუ დიდისა და პატარის შესახებ), მაგრამ მოვიდეთ პირველ სიტყვას, დიდსა და პატარას ხელი აქვთ ჩავლებული იქითაქეთ საჭეზე და მიჰყავთ შინ ველოსიპედი.

ბავშვია თავად ამ სურათის დამნახაველი და აღმწერი. და ლექსიც ხომ ბავშვის ხელით დახატულს ჰგავს. ყოველგვარი ზიზილ-პიპილოების გარეშე, კოპწიაობის გარეშე. არათანაბარია სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობა, გაცვეთილია რითმები: „მაშინ – სახლში“, მაგრამ არაა გაცვეთილი, როგორც სხვა ადგილას გვეუბნება პოეტი: „რითმა ხომ მუდამ არის ახალი“, რასაც გვიდასტურებს რითმების ჯადოქარი პოეტის მიერ გამოყენებელი მდარე რამეები:

„Взихать и думамь про себя,
Когда-же чёрт возмёт тебя“.

თავითით მიდევს (ხელის ახლოს) მეგობარი პოეტის „ერთტომეული“, გადავშლი ხოლმე გუნებისად, საცა გადაიხსნება, წავიკითხავ მინიატიურულ შედევრს და ფიქრს მივეცემი.

რა უნდა მოხდეს საქართველოში, რომ მკითხველებმა (მთავრობა იქით იყოს), დააფასონ სიცოცხლეში პოეტი? არაფერიც არ უნდა მოხდეს. ადგეს და თავადვე დაიფასოს თავისი თავი. და იქნება, მერე ჩვენც დავაფასოთ, ან ასე ვთქვათ, ესა და ეს პოეტი დააფასეს უცხოენოვანმა მკითხველებმა, რის შემდეგაც ჩვენგან მის აღიარებას წინ ვერაფერი დაუდგება. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს.

ნომადი ბართაიას ლექსს წავიკითხავ და ფიქრს მივეცემი-მეთქი.

„ფოთლებს უყვართ ერთად ყოფნა,
უყვართ ერთად დაშვავება“.

პოეტი გამუდმებით გვახედებს ბუნებისკენ. იქნება მცენარეთა მაგალითი გადმოვიღოთ, იქნება მათი წყალი გადმოგვესხას, იქნება გამოეღვიძოთ რუსთაველის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრებს, და მიანიჭონ პრემია ნომადი ბართაიას. იქნება დაუძახონ, ან იქნება პოეტი „ალვის ხეების სანახავადაა“ წასული სოფელში და სხვა რამ მას არც აინტერესებს...

დიალოგი მიმავიწყდა.

– სოფელში როდის იყავით?

– სულ სოფელში არა ვარ?

– დაიცალა სოფელი.

– რა მოხდა მერე. ვინც დარჩა უკეთ გამოჩნდა.

– ანუ?

– რა ვიცი, ასე მგონია.

– ერთი შენი ლექსი გალაკტიონის ჩანაწერს მაგონებს, თითქოს მისი ჩანაწერი გაგელექსოს.

– რა ჩანაწერია?

– გალაკტიონი ამბობს, სოფლელებს ბაზარში არა ხორაგი, არამედ – სიტყვები ჩამოაქვთო. შენი ლექსიც დაახლოებით იმავე შინაარსისაა, ერთი განსხვავებით, სოფლელებს ჩამოაქვთ სიტყვები, ხოლო შენ სიტყვები შინ მიგაქვს:

„როცა ბაზარში ვყიდულობ რამეს,
ვკითხულობ, სადაურია-მეთქი,
არაფერია იმაზე ტკბილი,
ვიღაცა მაშინ პასუხს რომ გეტყვის...
თითქოს მე მაშინ ვპოულობ ჩემს თავს,
თითქოს მე მაშინ ვგებულობ, ვინ ვარ,
განა ბაზარში ნაყიდი რამე,
ოჯახში კითხვა-პასუხი მიმაქვს“.

ასეთ დამთხვევას, სხვა ენაზე, პარალელები ეწოდება, რაც არაიშვიათია და არაა გასაკვირი. როგორც არაა გასაკვირი დღე-ღამის მონაცვლეობა. მსგავსი, მუდამ მსგავსი მონაცვლეობა. დღეა, ღამეა, ღამეა, დღეა, რა შეიცვალა? არაფერი. არაფერი და ყველაფერი ერთმანეთის ნათესავია. იყო და არა იყო რა. ნომადი ბართაიას ვითომ არაფერზე დაწერილი ლექსი თითქმის ყველაფერს მოიცავს.

„ბოლს ავლებდა ტბაზე იხვი,
მართლა კი არ მიცურავდა“...

იხვმა დაწერა (დახატა) ლექსი და პოეტმა გადმოიღო. დაინახა და გადმოიწერა (პოეტი ერთგან აღწერს გარეული ტყის ქათმების გადაფრენას, რასაც განიცდიან აქოთქოთებული შინაური ქათმები), პოეტმა დაგვანახვა ის, რაც მას იხვმა დაანახვა. მსგავსი გუნება-განწყობა გვეუფლება სადმე კენტად მიმავალს, უცებ რამ ულამაზესი პეიზაჟი გადაგეშლება თვალწინ და აუცილებლად ინატრებ იმას, ვინც ძალიან გიყვარს და გინდა, რომ იგი ახლა შენს გვერდით იყოს და შენებრ შეასწროს თვალი იმ ლამაზ პეიზაჟს.

ასე ერთიანდება პოეტი და მკითხველი.

წიგნი ხელის ახლოს გიდევს. დაწვდი და გადაშალე.

ექთანი
ეძვირა, მაგრამ
მობრუნდა მაინც
და სამი ცალი
იყიდა ტიტა.

რატომ ექთანი? რატომ ტიტა? ვისთვის ტიტა?

ამას წაიკითხავ. იმახსოვრებ. ექთანი საცაა მივა სამსახურში, საავადმყოფოში. უეჭველია, მას ავადმყოფთან მიაქვს ტიტები. შუქს აქრობ. წიგნს დახურავ და ძილად მიდრეკილმა უკვე იცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ხვალე უკეთესი იქნება, ვიდრე დღეისდღე. გეშველება შენც და შენს გეჩავ საქართველოსაც. დალაგდება ცხოვრება. რაღაცა გქონდა მოსაგვარებელი და ვერ მოაგვარე? არაფერია, ხვალიდან კარგად მოეწყობა ყველაფერი. საკვირველი ისაა, რომ ლექსების კრებულის ავტორი შენზე რომ ფიქრობს უფრო მეტად, ვიდრე საკუთარ თავზე, საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა. იოლია, საკუთარი აზრის ერთგულება. სხვაზე ზრუნვა და სხვისი აზრის გაზიარება-გაგებაა რთული, მაგრამ სასურველი და აუცილებელი. იმ ექთანს რა დაგავიწყებს. და გინდ დაიჯერეთ, გინდა არა. ასეთი აზრი გიახლოვდება, საკმარისია, ერთხელ დაიბადო, რათა არასოდეს არ გაქრე.

მურმან ჯგუბურია.

P. S.

არიან პოეტები, რომელთა გამონათქვამი (სტრიქონები) მუდამ რომ გაგყვება, მუდამ რომ გახსოვს, რაც ერთგვარად განაგებს შენეულ მოქმედებას, საქციელს, აუარება გამონათქვამი (სტრიქონები) მახსოვს ნომადი ბართაიას პოეზიიდან.

რამდენიმე მათგანი და ნიმუში:

„ისეთი კოხტა გოგონაა, ისეთი სუფთა,
სააბრეშუმე ტექნიკუმში სწავლობდეს უნდა“.

* * *

„რა უსაშველო ზამთარი დადგა.
რა ადრიანად ჩამოთოვა ინჩხურას მთები“.

* * *

„ალვის ხეების სანახავად სოფელში ჩავალ“...

* * *

„ღამით, მშვიდად მწოლარეს, მთვარის შუქი ეფინა,
აი, თერთი ოთახი, სადაც ვითომ ეძინა“.

– (გალაკტიონზეა საუბარი).

* * *

„აქ დღე არ გავა, გოგომ არ შეიყვაროს ვაჟი,
აქ დღე არ გავა, ვაჟმა არ შეიყვაროს გოგო“.

* * *

„თუ შემთხვევით მოგესალმათ მაღალი და უცხო კაცი,
არ გეგონოთ, ვიღაც უცხომ თავის ნაცნობს
მიგამგვანათ“.

* * *

„დედისერთას არ შევირთავ, არ შევირთავ დედისერთას“.

* * *

„სათქმელს ლექსში ვეღარ ვატევ, არშიებზე ვხატავ იებს“.

* * *

„რა მოკრძალებით დგანან სახლები
ჩრდილით მოხატულ ეზოს სიღრმეში“.

* * *

„მარტო იმიტომ ღირს მზის ამოსვლა,
რომ უხარიათ ბულბულებს ასე...“

* * *

„ერთი თხოვნა მაქვს, გამოვიზოგოთ
შოთა ჩანტლაძის ლექსები, ძმებო!“

* * *

„საცაა მოვა აპრილი მალე,
ვიღაცას კიდეც უნახავს, მგონი“.

* * *

„წარმოიდგინეთ, რა იქნება, რომ გათენდება,
დაიწერება სამშობლოში რამდენი ლექსი“.
(ანუ თავად სამშობლო იქცევა პოეზიად).

* * *

„გინდა, იკითხო, ნერგი რისია,
მაგრამ რატომღაც თავს შეიკავებ“...

* * *

ადრეც აღმინიშნავს და ახლა ვიმეორებ, ფლოგერი ამბობს: „ყველაზე კარგი წიგნი „დონ-კიხოტია“, ხელოვნურობის ნასახი არ ეტყობა“.

ზუსტად ასეა ნომადი ბართაიას პოეზია.

მ. ჯ.

რა ეშველება პლატოს რეკრეაციულ ტყეს?!

ჩვენი გაზეთის 3 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „რატომ იჩეხება ტყე?“, რომელსაც მრავალი ადამიანის გამოხმაურება და გულისტკივილი მოყვა. ჩვენმა კოლეგებმა ბორჯომიდან გაზეთ „ბორჯომის“ 8 სექტემბრის ნომერი გამოგვიგზავნეს, სადაც დაბეჭდილია ცნობილი ჟურნალისტის ვალერი ლომიძის სტატია „რა ეშველება პლატოს რეკრეაციულ ტყეს?!“ რომელიც ეხმიანება ჩვენს წერილს და ადგილობრივ საქმეში ყველაზე მეტად ჩახედულ პროფესიონალთა გულისტკივილს გამოხატავს. გთავაზობთ ამ სტატიას და ჩვენც, როგორც ბორჯომელები, იმედს ვიტოვებთ, რომ ეს პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, სასიკეთოდ გადაწყდება. წერილისთვის კი მადლობას ვუხდით გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციას.

ბორჯომი

8 სექტემბერი ხუთშაბათი 2016 №38 (8932)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი • გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ბორჯომის ხეობის საკურორტო ტყეები რომ სავალალო დღეშია, ეს ყველამ ძალიან კარგად იცის, ისიც იცის, რომ პლატოს უნიკალური ტყიდან კარგი იქნება, ფაქტიურად, 20 პროცენტი თუ გადარჩა. დაახლოებით 10 წელია, ვტეხთ განგაშს აქ შექმნილი მეტად საგანგაშო სიტუაციის გამო, მაგრამ, როგორც იტყვიან, — „ქარავანი თავისი გზით მიდის“, მდგომარეობა უფრო უარესდება.

ხეობის ტყეებს, კერძოდ, წაღვერის გადამწვარი ტყის და პლატოს გამხმარ-გაჩანაგებულ კორომებს არაერთი წერილი მივუძღვენით, არაერთ ხელმძღვანელ პიროვნებას მოვახსენეთ შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ... ვითარება არ იცვლება, უფრო მეტიც, „ურემი უფრო ღრმად ეფლობა ჭაობში“. რედაქციის ჟურნალისტების თუ ქალაქის საზოგადოების ცალკეული წევრების გულისტკივილი არავის ესმის (ასე გვგონია, ვისაც ამ პრობლემის გადაწყვეტა ევალება, ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას, თუ რა საშიშ ზღვარს მიუახლოვდა ბორჯომის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა).

სამწუხაროდ, დღეს ბევრს არ გაუანალიზებია კლიმატის ცვალებადობის გამომწვევი მიზეზები, გახშირებული წყალდიდობები, ქარიშხლები, ტემპერატურის ზრდა და ბუნების სხვა ანომალიები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ტყეებისადმი ბარბაროსულ დამოკიდებულებასთან. მიმდინარე წლის 4 აგვისტოს არნახულმა კოკისპირულმა წვიმამ და ქარიშხალმა სერიოზული ზიანი მიაყენა ბორჯომს, მის უნიკალურ ისტორიულ პარკს, დვირს, ლიკანს, სადგერს, წაღვერს, რაიონის სხვა სოფლებს. პლატოს ტყეში, რომელიც ისედაც სავალალო დღეშია, ქარიშხალმა ასობით ხე მოტეხა ან წააცია, მიყენებულ ზარალს დღესაც ითვლიან. მაგრამ გაოცებას იწვევს ბუნების დაცვის სამინისტროს და ეროვნული სატყეო-სააგენტოს და სხვა უწყებების ოლიმპიური სიმშვიდე ბორჯომის ხეობის ტყეებისადმი. დავიწყოთ იმით, რომ 2008 წლის აგვისტოში წაღვერის უნიკალურ ტყეს ხანძარი გაუჩნდა, ტყე თითქმის ერთი თვე იწვოდა და 1000 ჰექტარზე მეტი დაიწვა. მას შემდეგ რვა წელი გავიდა და დღემდე 100 ჰექტარია დარგული, ანუ წელიწადში 13 ჰექტარი დაირგო. რამდენმა გაიხარა, არ ვიცით (ამის სტატისტიკა არ გვაქვს). თუ ამ ტემპით გავაგრძელებთ, წაღვერის ტყის აღდგენას, 80 წელი დასჭირდება (?!). ზოგიერთებს ამ ტყის თვითგანახლების იმედი აქვთ).

ალბათ, კურიოზების კლასიკურ მაგალითად გამოდგება პლატოს ტყის ისტორია. აქ ტყეს 209 ჰექტარი უკავია. ათ წელზე მეტია, რაც ამ ტყეს მავნე ხოჭო შემოესია. უმოწყალოდ ხმება უნიკალური საკურორტო-რეკრეაციული ტყე. მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩამოდიან უცხოელი და ქართველი სპეციალისტები, სამინისტროების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, პარლამენტარები და რა ვიცი, კიდევ ვინ არ ჩამოდის გულზე მჯიღის საცემად, მაგრამ მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. შარშან 1200 კუბმეტრი ხე მოიჭრა. წელს 2500 კუბმეტრი გამხმარი ხე იანვარ-თებერვალში დანომრეს მოსაჭრელად, იმ ვარაუდით რომ, სანამ დათბებოდა და მავნებელი ქერქიჭამია გაიღვიძებდა, ხმელი ხეების მოჭრა უნდა დამთავრებულიყო. ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ეროვნული სატყეო დეპარტამენტის კარგ ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა. დანომრილი ხეების მოჭრა ივნისში დაიწყეს და დღესაც მიმდინარეობს. ტენდერში გამარჯვებული ფირმა ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევისათვის რამდენჯერმე დააჯარიმეს, უკვე მოიჭრა ორი თუ სამი კვარტალის ხმელი ხე, რომლებიც იქვეა დასაწყობებული. ჯირკვები გაიქერქა, ტოტები ზოგი დაწვეს და ზოგიც დასაწვავია, გასაყიდი ხე-ტყე პლატოზე აწყვია და, ალბათ, მის რეალიზაციას ზამთრის სუსხი რომ დადგება, მერე დაიწყებენ (საკითხავია, ვის და რას ელოდებიან, რა უშლის ხელს გასაყიდად გამზადებულ შეშას და სამასალე ხეს, რომლის სასაქონლო მნიშვნელობა დღითი დღე ეცემა). ბუნებრივად იბადება კითხვა, რა ეშველება პლატოს უნიკალურ საკურორტო-რეკრეაციულ ტყეს, რომელსაც ჯერ კომუნისტების მმართველობის პერიოდში არ მიექცა სათანადო ყურადღება და არ ჩატარდა გადაბერებული და დაზიანებული ხეების გამოხშირვა-გაახალგაზრდავება, ხოლო ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის წლებში მასობრივად დაიწყო მისი გაჩეხვა და გაპარტახება.

ფაქტია, ადგილობრივ სატყეო უბნის, თუნდაც სამცხე-ჯავახეთის მხარის სატყეო სამმართველოს კომპეტენციას და შესაძლებლობებს სცილდება პლატოს ტერიტორიის აღდგენა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ, გარემოს დაცვის სამინისტრომ და ეროვნულმა სატყეო-სააგენტომ ყველა ღონისძიებით უნდა იზრუნოს, უმოკლეს დროში შეიმუშაოს გაპარტახებული ტერიტორიის აღდგენის პროგრამა. მთავრობამ გამოყოს თანხები ნერგების დარგვა-გახარებისათვის, ტერიტორიის შემოღობვისათვის და საგულდაგულოდ დაცვისათვის. საწყენია, ძალიან საწყენია, როცა ამ თემაზე მერამდენედ გვიწევს საუბარი. როგორც ჩანს, ასეთი გულარხეინი დამოკიდებულებით უფრო შორს ვერ წავალთ. ბორჯომელები ნამდვილად მტკივნეულად განიცდიან ტყეების დღევანდელ მდგომარეობას. ყველა შეწუხებულია, ყველას გული შესტკივა, მაგრამ ვისაც ტყეების მოვლა-პატრონობა ევალება ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებენ. შორს ნუ წავალთ, თვით ახალციხის სატყეო-სამმართველოს ეზოში 500 კუბ.მეტრი უკანონოდ მოპოვებული და მეტყევეების მიერ ჩამორთმეული მორები ყრია. ეს ხე-ტყე წლების მანძილზეა დაგროვებული. დღემდე გამოუყენებელია და ბევრი დალპა კიდეც. საკითხავია, ვისაც ამ ჩამორთმეული ხე-ტყის განკარგვა ევალება, რას ფიქრობს, რატომ აჭიანურებენ აუქციონის გამოცხადებას და მის რეალიზაციას?! ან რა შეფასება უნდა მისცეს იმ ფაქტს, რომ ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბანში ერთი წლის მანძილზე მეცხრე დირექტორი დაინიშნა. ფაქტია, სანამ პარლამენტი არ მიიღებს კანონს ტყის შესახებ და არ აღდგება სატყეო მეურნეობები, ადგილებზე პრობლემა ვერ გადაწყდება. ამ დასკვნამდე მოგვიყვანა განვლილმა 25 წელმა, რაც სატყეო მეურნეობები დაიშალა და მის ნაცვლად შეიქმნა ამორფული ორგანიზაცია, რომელმაც არ იცის, თუ რა ევალება და როგორ გაუმჯობესდეს ტყის დაცვა-მოვლის საქმეში არსებული უამრავი პრობლემა.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ.

P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა 31 აგვისტოს ბუნებისა და გარემოს დაცვის მინისტრი, ბატონი გიგლა აგულაშვილი, სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, ეკოლოგები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ჟურნალისტები პლატოს გაპარტახებულ ტყეს ეწვივნენ. მინისტრს და სააგენტოს ხელმძღვანელს მრავალრიცხოვან კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა. იყო მეტად უხერხული კითხვებიც, - რატომ გაჭიანურდა დაავადებული ხეების მოჭრა და რა ბედი ელის პლატოს რეკრეაციულ ტყეს? პასუხები ერთობ ზოგადი და კონკრეტულობას მოკლებული იყო. ბორჯომელებს კი კატეგორიულად გვაინტერესებს, რა ბედი ელის პლატოს გავერანებულ ტყეს, როდის დაადგება საშველი მის აღდგენას და მოვლა-პატრონობას?! იქნებ ამ კითხვებზე პასუხი კონკრეტულად სპეციალისტებმა მაინც გაგვცეს.

Ვ. Ლ.

◎ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

საოცრებები მედიცინაში,

ანუ საინტერესო წიგნი ყველა მედიკოსისათვის და არა მარტო... მათთვის

ᲫᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ცნობილმა **„სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტმა“** კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გააკეთა, მისი მატერიალური და მორალური თანადგომით გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გურამ ბექაიას** წიგნი **„საოცრებანი მედიცინაში“** (აღმოჩენები, გამოგონებები, გენიოსები).

წიგნში პოპულარულად, ფართო მასებისათვის და ნებისმიერი გემოვნების მკითხველისთვის გასაგებად და მარტივად აღწერილია სამედიცინო სფეროში მომხდარი მრავალი აღმოჩენა, გამოგონება, წარმატებული კვლევა და მათი ავტორების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები; წიგნში წარმოდგენილი სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის ტერმინოლოგია ისეთნაირად არის მოთხრობილი, რომ არამედიკოს მკითხველს საშუალებას აძლევს ადვილად გაერკვეს და გაიგოს აღმოჩენის არსი.



ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲔᲥᲐᲘᲐ

ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ

(ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ, ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲔᲑᲘ)

�თᲑᲘᲚᲘᲡᲘ 2016

არ შეიძლება არ აღინიშნოს ავტორის მიერ უაღრესად საინტერესოდ დაწერილი წინასიტყვაობა, რომელშიც იგი ასაბუთებს, თუ რამ განაპირობა წიგნში წარმოდგენილი მასალა. მისი აზრით, ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება ცნობისმოყვარეობაა. ნებისმიერი, მისთვის სასურველი ახალი ინფორმაციის მიღებისას იგი დადებითი ემოციით იმუხტება.

წიგნში უაღრესად საინტერესოდ არის მოთხრობილი რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერისა და ექიმის მიზანმიმართულად, შემთხვევით ან მოულოდნელად მიღებული სრულიად ახალი ფაქტები და მონაცემები, რომლებმაც მათ საქვეყნოდ სახელი გაუთქვეს, ხოლო მილიონობით ადამიანს ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

უდავოდ ორიგინალური და საინტერესო წინასიტყვაობის შემდეგ ავტორი აღწერს გამოჩენილი შვედი მეცნიერის, მეწარმისა და მენეჯერის 350-ზე მეტი აღმოჩენისა და გამოგონების ავტორის ალფრედ ნობელის არასტანდარტულ ცხოვრებას. ადამიანისა, რომელმაც დიდი კაპიტალი დააგროვა და სიცოცხლის ბოლოს დააწესა საქველმოქმედო პრემია, ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგია-მედიცინის, ლიტერატურისა და მშვიდობის დარგში დამსახურებისათვის.

დღეს ნობელის პრემია მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. ყოველი წლის ბოლოს შვედეთისა და ნორვეგიის აკადემიების მიერ, გამოჩენილ მეცნიერებსა და მოღვაწეებს მეცნიერებაში უდიდესი წვლილის შეტანისათვის და მშვიდობის განმტკიცებისათვის ენიჭებათ ნობელის პრემია, რომელიც შეადგენს 1 მილიონ დოლარს.

წიგნში მოყვანილ მეცნიერებს შორის მკითხველი გაეცნობა ნობელის პრემიის ლაურეატებს, იმ მეცნიერებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ ნობელის პრემიის დაარსებამდე, მეცნიერებს, რომელთა მიღწევები აღნიშნულია სხვადასხვა სახის პრესტიჟული პრემიით, მათ შორისაა რამდენიმე ქართველი მეცნიერი, რომელთა პილოტური გამოკვლევები პიონერულად შეიძლება ჩაითვალოს.

ყურადსაღებია, რომ წიგნის ნებისმიერი თავი სრულიად თავისუფალია თუნდაც მცირე არაკომპეტენტურობისაგან, რაც განპირობებულია ავტორის მაღალი პროფესიონალიზმით.

წიგნი სარგებლობას მოუტანს ყველა მედიკოსს, სამედიცინო, ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს. იგი დააინტერესებს არამედიკოს მკითხველს, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია მედიცინასთან და გათვითცნობიერებულია ამ უმნიშვნელოვანესი დარგის — მედიცინის სხვადასხვა საკითხებში. აგრეთვე იმ მრავალრიცხოვან მკითხველს, რომელიც ინტერესით ეცნობა ყოველგვარ სიახლეს და „საოცრებებს“, რითაც იკმაყოფილებს ცნობისმოყვარეობას და კარგ გუნება-განწყობილებაზე დგება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

რას გვთავაზობს NATO? „უსაფრთხოების ქოლგის“ გაძლიერება, განევრების გარეშე?!

ნორვეგიელი პოლიტიკოსი იენს სტოლტენბერგი... NATO-ს გენმდივნის რანგში გუშინ საქართველოს, ბოლო ორი წლის მანძილზე მეორედ ეწვია. ალიანსში გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო - ჩრდილოატლანტიკური საბჭო კი თბილისში, ბოლო რვა წლის მანძილზე უკვე მეოთხედ (2008-11-13-16) შეიკრიბა.

ამის შესახებ ამერიკული რადიოსადგურის „Radio voice of America“-ს სიუჟეტშია ნათქვამი.

NATO-საქართველოს კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელსაც საქართველოს პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრები და ალიანსის-წევრ სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლები ესწრებოდნენ, იენს სტოლტენბერგმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს პროგრესს, თუმცა გაწევრების ვადებზე საუბრისას ბრძანა:

„როგორც ასპირანტ ქვეყანას, საქართველოს ყველა შესაძლებლობა აქვს, რათა NATO-ს წევრობისთვის მოემზადოს. ჩვენ ერთგულები ვართ და საქართველოს ამ გზაზე მხარდაჭერას გავუწევთ. ვარშავის სამიტზე კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი, ამისთვის თქვენი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს ალიანსის სტანდარტებს და მოთხოვნებს. ამ მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ ვმუშაობთ საქართველოსთან რეფორმების განხორციელების მიმართულებით, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს, დაუახლოვდეს ალიანსის წევრობას. მე ახლა ვერ დავასახელებ გაწევრების ზუსტ ვადას, ეს ასპირანტის დამსახურებებსა და მიღწევებზეა დამოკიდებული“.

ალიანსისგან რას ელოდება საქართველო შავი ზღვის აუზში შექმნილი რთული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, რუსეთის მიერ ქართული და უკრაინული მიწების მიტაცებისა და განსაკუთრებით, თურქეთ-რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობის შემდეგ?

არის თუ არა საქართველოს უსაფრთხოებისთვის საკმარისი ალიანსის მიერ შემოთავაზებული „არსებით ღონისძიებათა პაკეტი“ (SNGP), „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივა“ (PII) და „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის“ (EOP) სტატუსი?

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, რომელიც თბილისის აეროპორტში დახვდა იენს სტოლტენბერგს, ფიქრობს, რომ ამ სტატუსის შემდეგ, საქართველო უკვე სარგებლობს ალიანსის კოლექტიური უსაფრთხოების ქოლგის გარკვეული სიკეთეებით და NATO-სთან სტრატეგიული დიალოგის გაძლიერების იმედი აქვს:

ალიანსის გენმდივანი გუშინვე მივიდა თბილისში მიმდინარე წარმომადგენლობით საერთაშორისო კონფერენციაზე — „ევროპის ცვალებადი გეოსტრატეგიული ლანდშაფტი ვარშავის სამიტის შემდეგ“, რომელსაც მაკკეინის ინსტიტუტი საქართველოში უკვე მეორედ ატარებს. მსოფლიოსა და რეგიონში გავლენიანი ექსპერტები, პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები, მათ შორის, ევროპაში აშშ-ის ჯარების სარდალი, გენერალი ბენ ჰოჯესი, შავი და ბალტიის ზღვის აუზებში უსაფრთხოების პრობლემასთან ერთად, კონფერენციაზე — რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებს, დემოკრატიის კრიზისს და რეგიონში აშშ-ისა და ევროკავშირის პოლიტიკას განიხილავდნენ.

NATO-ში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა, ამჟამად მაკკეინის ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა კურტ ვოლკერმა აღნიშნა, რომ საქართველო, ბუნებრივია, მეტს ელოდება ალიანსისგან, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე გაკეთებული დაპირების შემდეგ.

კონფერენციის მონაწილე ექსპერტების აზრით, ოკუპირებულ ყირიმსა და აფხაზეთში რუსული მილიტარიზაციის საპასუხოდ, შავ ზღვაზე ალიანსის ახალი უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტში, საქართველომ NATO-ს შეიძლება შესთავაზოს, არა მხოლოდ საკუთარი ნავსადგურები, არამედ მოითხოვოს მცირე, მაგრამ მობილური სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაში აქტიური დახმარება.

გუშინვე, მაკკეინის ინსტიტუტის კონფერენციაზე, აშშ-ის ელჩმა იან კელიმ კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებაზე, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია საქართველოში, აშშ-ის ან NATO-ს სამხედრო ბაზის განთავსება. ელჩმა კელიმ ბრძანა, რომ „ეს საინტერესო წინადადებაა და მას დეტალურად შეისწავლიან.“

გავლენიანი გერმანული გამოცემა „Deutsche Welle“, საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას ვრცელ სტატიას უძღვნის, რომლის ავტორიც მიმომხილველი ბერნდ რიგერტია.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის შემოკლებულ ვერსიას:

იგი დონ კარლოსის არიას მსოფლიოს საუკეთესო ოპერების სცენებზე ასრულებდა, ახლა კი ქართველ საოპერო მომღერალს პაატა ბურჭულაძეს პოლიტიკური სცენის „დასაპყრობად“ კარგი შანსები აქვს. პოპულარულ ბანს, რომელიც თავის თავს კონსერვატორად მიიჩნევს, უნდა, რომ „ქართული ოცნების“ მოსოციალდემოკრატო მთავრობას ხელისუფლება წაართვას. თუმცა წინასაარჩევნო ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი თემა ეკონომიკაა და არა საგარეო პოლიტიკა, რაც თბილისში ჩამოსულმა ნატოს ელჩებმაც ძალიან კარგად იციან: ყველა დიდი ქართული პარტია, მემარცხენე თუ მემარჯვენე, პროდასავლური კურსის ერთგულებას გამოხატავენ. საქართველოს, ქართველ ხალხს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება სურთ. უკვე რვა წელია, ქართველები რიგში დგანან და მოთმინებით ელოდებიან...

რუსული ბარიერები ნატოსკენ მიმავალ გზაზე

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ჯერ კიდევ 2008 წელს, ბუქარესტის სამიტის დროს გამოაცხადა, რომ ნატოს კარი მუდამ ღიაა ახალი წევრების მისაღებად. საქართველოს, შავიზღვისპირა ოთხმილიონიან სახელმწიფოს, აღუთქვეს, რომ მას ნატოში მიიღებდნენ, თუ თბილისი ყველა სამხედრო ალიანსში გაწევრებისათვის საჭირო პირობებს შეასრულებდა. ბუქარესტის სამიტს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც ესწრებოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მისთვის უკანასკნელი მონაწილეობა იყო ნატოს შეხვედრაში. იმ დროს რუსეთის ლიდერმა მკაცრად გააკრიტიკა ალიანსის გადაწყვეტილება და მას შემდეგ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნატოს გაფართოების პროცესს.

ოფიციალურად, რუსეთს, რა თქმა უნდა, ნატოში არავითარი ხმის უფლება არა აქვს, მაგრამ ვლადიმირ პუტინი თავისი მოქმედებით, ალიანსის გაფართოებას ხელს უშლის. 2008 წლის აგვისტოში მას საქართველოსთან მოკლევადიანი სამხედრო კონფლიქტი ჰქონდა: რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრორუსი სეპარატისტების დაცვა განიზრახა, ქართულ არმიას უკან დაახევინა და ქვეყნის ტერიტორიის 20% დაიკავა. აი, სწორედ ეს გაყინული კონფლიქტი უშლის ხელს ამ კავკასიური სახელმწიფოს ნატოში გაწევრებას. ჩრდილოატლანტიკურ ალიანში გაერთიანება ხომ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რომლებსაც მეზობლებთან ტერიტორიული კონფლიქტები არ აქვთ! გარდა ამისა, როგორც ბრიუსელელი დიპლომატები ამბობენ, ნატოს არ სურს რუსეთისა და უკრაინის ისედაც დაძაბული ურთიერთდამოკიდებულება (ყირიმ-დონბასის გამო) კიდევ უფრო გაამწვავოს...

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მარტინ შეფერი ჯერ კიდევ აპრილში ამბობდა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხზე ამ ეტაპზე ალიანსი ფოკუსირებას არ ახდენს და გეზი უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენაა აღებულიო: „ჩვენ ამ თანამშრომლობის შედეგებს უნდა დაველოდოთ“.

საქართველოსა და აშშ-ის მჭიდრო კავშირები

2008 წლიდან ნატოს ყოველ მაღალი დონის შეხვედრებზე მუდმივად აცხადებდნენ, რომ საქართველოში რეფორმები მიმდინარეობს და რომ საქართველო, პრინციპში, „ტექნიკურად“ მზად არის ალიანსში გაწევრებისთვის. საქართველოს არმია კარგადაა მომზადებული და პოლიტიკური სიტუაციაც უმჯობესდება, — ადასტურებენ ნატოელი დიპლომატები ბრიუსელში. მაგრამ საქმეს აფუჭებს ის, რომ პატარა საქართველოს მეზობელი დიდი რუსეთია...

ამასთან, საქართველო აშშ-სა და ნატოს ყველაზე მეგობრულ პარტნიორადაა მიჩნეული. ძნელად თუ მოიძებნება ევროპაში ისეთი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ისეთი ერთგული რომ იყოს, როგორიც საქართველოა. თბილისის აეროპორტიდან ქალაქში მიმავალ სტუმრებს დიდ პლაკატზე გამოსახული აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ესალმება, აეროპორტიც მის სახელს ატარებს (მთარგმნელის შენიშვნა: თბილისში ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩაა და არა აეროპორტი).

დევიდ კრამერი, მაკკეინის ინსტიტუტის თანამშრომელი, ამბობს, რომ საქართველოს მოტყუება მეტად აღარ შეიძლება. იმედგაცრუება მატულობს.

თანამშრომლობა და თავშეკავება ერთდროულად

ნატო ცდილობს საქართველოსთან ახალ-ახალი პროექტებით ითანამშრომლოს. გასულ წელს თბილისში ალიანსის საწრთვნელი ცენტრი გაიხსნა, შესაბამისად, ნატოს 30-მდე სამხედრო მრჩეველი საქართველოში მუდმივად იმყოფება. უკვე მრავალი წელია, ნატოს ქვედანაყოფები მანევრებს ქართულ არმიასთან ერთად ატარებენ, რაც რუსეთის პერმანენტულ პროტესტებს იწვევს. მაისში კრემლმა მკაცრად დაგმო საქართველოში ჩატარებული ერთობლივი ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნები და განაცხადა, რომ „ვაშინგტონის ასეთი პროვოკაციული მოქმედება კავკასიის რეგიონის დესტაბილიზებას ახდენს“. სინამდვილეში კი ნატო ხელს უწყობს ქართული არმიის გაძლიერებას, სამხედრო მოსამსახურეების მომზადების ამაღლებას და თავდაცვის სფეროს მმართველობის სამოქალაქო ყაიდაზე გარდაქმნას.. თავის მხრივ, საქართველოც აქტიურად მონაწილეობს ნატოს თითქმის ყველა მრავალეროვნულ მისიებში.

პრეზიდენტი კურსის ერთგულია

ივნისში, ნატოს შტაბბინაში სტუმრობის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება წარმოადგენს: „დარწმუნებული ვართ, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ხელს შეუწყობს დემოკრატიულ პროცესებს ჩვენს ქვეყანაში. რვა ოქტომბერს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები ამ მიზნით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებაო“, — აღნიშნა მან. ამასთან, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ არჩევნების დროს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში შეიძლება პრორუსული ძალებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქვეყნის გაწევრებას ნატოშიც და ევროკავშირშიც.

საქართველო — ბეჯითი მოსწავლე...

კრიმინალური რუსეთის პრეზიდენტი – თბილისელი ქურდი შაქრო კალაშოვი

ახლახან, 2016 წლის 11 ივლისს, ფულის გამოძალვის ორგანიზატორობის ბრალდებით, მოსკოვში დააკავეს ცნობილი კანონიერი ქურდი ზაქარია (შაქრო) კალაშოვი, მეტსახელად შაქრო მალადოი.

ამჯერად იგი ციხის კარზე რუსეთის მაღალი საზოგადოების ორი ქალბატონის ქიშპობამ მიიყვანა.

აღმოსავლური წარმოშობის ორი ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი – ელიტური კაფე-რესტორნის „ელემენტის“ მეპატრონე ჟანა ტაირის ასული კიმი და დიზაინერი, პეტერბურგის მარიას თეატრის დირექტორის ყოფილი მოადგილე, ერთხანს მაესტრო ვალერი გერგიევის საქველმოქმედო ფონდის დირექტორი ფატიმა თეიმურაზის ასული მისაკოვა, კარგა ხნის მეგობრობის შემდეგ ერთმანეთს დაეჯახა. საბოლოოდ ფატიმამ ჟანას 8 მილიონი რუბლი „აახია“ და საფრანგეთში „მოტყდა“. გამოძიებამ გამოძალვის ორგანიზებაში ეჭვი კალაშოვზე მიიტანა.

კაცმა რომ თქვას, ის კარგა ხანია, „მალადოი“ აღარ არის, 63 წელი შეუსრულდა.

ამ იღბლიანმა რეციდივისტმა „ტახტზე“ მოკლული ალფა-ქურდი, ლეგენდარული დედ ხასანი შეცვალა და რუსეთის ფედერაციის №1 კანონიერი ქურდი გახდა.

დაიბადა 1953 წელს თბილისში. მამამისიც, კნიაზ კალაშოვიც ცნობილი კანონიერი ქურდი იყო. სამჯერ ნასამართლევია. დამნაშავეთა სამყაროში იცნობენ თიკუნებით: შაქრო მალადოი, შაქრო ქურთი და მალიში. კანონიერ ქურდად სსრ კავშირის დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებმა 1982 წელს აკურთხეს. აქვს მრავალმხრივი კავშირები ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მაღალი დონის ხელმძღვანელობას შორის.

თავის დროზე ბევრი დაიწერა მისი უსაზღვრო ამბიციების შესახებ, იმაზე, რომ ლამის რუსეთის ხელისუფლება ჩაიგდო ხელში და კრიმინალური სახელმწიფო შექმნა. ერთ-ერთ აგენტურულ ცნობაში ვკითხულობთ: „შიდა სასაკნო დამუშავების შედეგად, წყარო „გ“-მ გვაცნობა, რომ შაქროს, რომელიც ამჟამად სპეციზოლატორში იმყოფება, იყენებს რა თავის ავტორიტეტს კანონიერ ქურდებს, ჩინოვნიკებსა და ბიზნესმენთა შორის, განზრახული აქვს, მიიღოს დონ კორლეონეს სტატუსი და კრიმინალურ ბაზაზე შექმნას ძლიერი ეკონომიკური ალიანსი – მრეწველობის ზოგიერთი დარგის ფინანსებზე სრული კონტროლით და სახელმწიფოს მართვა კრიმინალური იდეის საფუძველზე“. ის რომ, კანონიერი ქურდის შაქრო მალადოის ხელისუფლებაზე პრეტენზია უბრალო ახირება არ არის, კარგად ჩანს მეორე აგენტურული ცნობიდან: „შაქრო ირკუტსკში ჩამოვიდა ბორის პეტრუშინის (ბარგას, ბორის ბრიანსკის) სანახავად, რომელიც იქ, ანგარსკში იხდის სასჯელს. შეხვედრა 2 საათი გაგრძელდა, განიხილებოდა იაკუტიაში და ჩუვაშეთში ახალი „მეთვალყურეების“ დანიშვნის საკითხი. საუბრის ბოლოს შაქრომ აცნობა, რომ აქტიურად მუშაობს პეტრუშინის ვადამდე გათავისუფლებისთვის პრეზიდენტის სპეციალური პროგრამების მთავარი სამმართველოს მაღალი დონის თანამშრომლის საშუალებით, რომელსაც სამი დღის შემდეგ შუამავალი ფულს გადასცემსო. მოსკოვში დაბრუნებისთანავე შაქრომ ტელეფონით დარეკა... და შეხვედრა დანიშნა, სადაც პეტრუშინის ვადამდე გათავისუფლების პირობები განიხილეს“.

იმ ტელეფონის ნომრით ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ შუამავალი უნდა ყოფილიყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სამართლებრივი დაცვისა და ხელშეწყობის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ხანტი-მანსიიელი ვიაჩესლავ შ., რომელიც ადრე ნავთობის კომპანიის პრეზიდენტად მუშაობდა (ამბობენ, რომ ეს კაცი ვირტუოზულად მოქნილია – შეძლო 6 მილიონ დოლარზე „გადაეგდო“ გაეროს ექსგენერალური მდივნის ბუტროს გალის ძმისწული. ატყდა საერთაშორისო სკანდალი, ვიაჩესლავი ჩასვეს. პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ ის მოსკოვში გადაბარგდა და კვლავ ნავთობს მოკიდა ხელი. იმავდროულად ტაძრებს აშენებს და პატრიარქმა კირილემ სერაფიმ საროვსკელის ორდენითაც კი დააჯილდოვა).

შაქრო კალაშოვი მოსკოვში, ვორონეჟის ქუჩაზეა ჩაწერილი, მაგრამ მუდმივად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში რუბლიოვო-უსპენსკის გზატკეცილზე, მისი ფინანსური ინტერესები, ძირითადად ნავთობმომპოვებელ რეგიონებზეა გადართული. ოპერატიული მონაცემებით, ფლობს სანდო პირებზე გაფორმებულ ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ორ ათეულ საშუამავლო ფირმას, აგრეთვე ნავთობის ჭაბურღილებს ერაყის ქურთისტანში, აკონტროლებს მოსკოვის რამდენიმე ბანკს და 1990 წლების შუახანებისთვის 200 მილიონი დოლარის ქონებას მოუყარა თავი.

მაგრამ ქონებისა და გავლენის ზრდასთან ერთად იზრდება მისი მოსისხლე მტრების რიცხვიც. მხოლოდ მოსკოვში ხუთჯერ დაესხნენ თავს. თითოჯერ – საქართველოში და ჩრდილოეთ ოსეთში. მტრებმა დამნაშავეთა სამყაროდან არაერთხელ სცადეს მისთვის კანონიერი ქურდის წოდება ჩამოერთმიათ, ხაზს უსვამდნენ რა მის კავშირებს უშიშროების ფედერალურ სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. მაგალითად, ერთ-ერთ აგენტურულ მონაცემში აღწერილია, რომ მოსკოვში 1998 წელს გამართული ქურდული „სხადნიაკის“ მონაწილე ასი კანონიერი ქურდი განიხილავდა შაქროს და დედ ხასანის პერსონალურ საკითხს.

იხ. 12 გვ.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის №1-1/384 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2-ზოლიანი თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I –III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 - კმ 10+800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4-ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 - კმ 10+800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის №1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2016 წლის 22 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/384 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“**, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 – კმ 10+800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

1. ნოე ქაჯაია – უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №01.18.12.022.031, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი 2005 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობევები. მის. ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა №29.
2. ინგა მაისურაძე, დავით ცინცაძე და ქეთევან ცინცაძე თანასაკუთრება, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №01.18.12.022.013 საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 442 კვ.მ, და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები. მის. ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა №25;
3. გიორგი ძიძიკაშვილი - უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 01. 18.12.022.034, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი - 6 კვ.მ და და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები. მის. ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა №19.
4. რამიზ ალიევი – უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.05.11.040, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი – 61 კვ.მ მასზე არსებული შენობა-ნაგებობები; მის. ქ. თბილისი, სოფელი ფონიჭალა;
5. ვლადიმერ ჩუგუაშვილი - უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.05.12.261, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი - 294კვ.მ; და საექსპროპრიაციო უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: № 81.05.12.270) ფართი 276 კვ.მ. მის. გარდაბანი, ფონიჭალა;
6. გუგუშა ციმინტია – უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.05.05.063, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი – 585 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები; მის. გარდაბანი, ს. ფონიჭალა;

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

◎ გულის მოსაფხანად

თბილისურ მატჩზე რეკორდი დამყარდა

ფიბა-ს ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, 7 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოსა და მონტენეგროს ნაკრებთა მატჩს 9 800 მაყურებელი დაესწრო, რაც მიმდინარე შესარჩევი ციკლისთვის სარეკორდო მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა კალათბურთელებმა F ჯგუფის ცენტრალური მატჩი 74:76 წააგეს, ქომაგობა კი მართლაც რომ სამაგალითო იყო. სპორტის სასახლის ტრიბუნები ბოლომდე იყო გადავსებული და საბოლოოდ გამარჯვება რომ მასპინძლებს დარჩენოდათ, ამაში გულშემატკივრების წვლილი დიდი იქნებოდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

მსოლოდ თითო ქულა

ბაქოში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მე-6 ტურის პარტიები გათამაშდა. საქართველოს ვაჟთა ნაკრები ჩეხეთის მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატებით დაკომპლექტებულ გუნდს დაუპირისპირდა. შეხვედრა ფრედ – 2:2 დამთავრდა: დაზავდნენ დავით ნავარა – ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი – ვიქტორ ლაზნიჩკა, ზბინეკ ჰრაჩეკი – ლევან ფანცულაია, თამაზ გელაშვილი-ვოიტეჩ პლატი. საქართველოს ნაკრებმა ექვს ტურში 10 ქულას მოუყარა თავი.

VI ტური. ინდოეთი – ჰოლანდია 2.5:1.5, აშშ-უკრაინა 2.5:1.5, საბერძნეთი – აზერბაიჯანი(1) 2:2, კანადა – ბელარუსი 2.5:1.5, გერმანია – რუსეთი 1:3, ჩინეთი – არგენტინა 2.5:1.5.

ექვსი ტურის შემდეგ: ინდოეთი – 12 (19), აშშ – 11 (18), ჰოლანდია – 10 (18), ჩეხეთი – 10 (16.5), საქართველო – 10 (17), ჩინეთი – 10 (17.5), უკრაინა – 10 (16.5), კანადა – 10 (19), რუსეთი – 10 (18.5), ლატვია – 10 (15.5), ინგლისი – 10 (15.5), რუმინეთი – 10 (16).

ქალთა ტურნირში საქართველოს გუნდს აზერბაიჯანის პირველი ნაკრები მეტოქეობდა. ნანა ძაგნიძემ ზეინაბ მამედიაროვას გააჩერებინა საათი, ნინო ბაციაშვილმა თეთრი ფიგურებით გულნარ მამადოვასთან წააგო, ლელა ჯავახიშვილი შავებით გუნაი მამაზადეს, სალომე მელია კი ნარმინ კაზიმოვას დაუზავდა. საბოლოოდ ფრე – 2:2.

ლიდერების – რუსეთისა და უკრაინის ქალთა გუნდების მეორე-მესამე დაფებზე ორგზის ევროპის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი) და მსოფლიოს ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა), ორგზის ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) და ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) ყაიმზე შეთანხმდნენ, თეთრებით ანა მუზიჩუკმა (უკრაინა) მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს (რუსეთი) აჯობა. ბოლო სამი ოლიმპიადის გამარჯვებული რუსეთი ნაკრები მარცხისგან ოლგა გირიამ იხსნა, რომელმაც მსოფლიოს და 2016 წლის ევროპის ჩემპიონ ანა უშენინას სძლია და წონასწორობა აღადგინა – 2:2.

VI ტური. რუმინეთი-ჩინეთი 2:2, ყაზახეთი – უნგრეთი 2:2, პოლონეთი-ვიეტნამი 3:1, ინდოეთი-ლატვია 2.5:1.5, თურქეთი-აშშ 0.5:3.5, ჰოლანდია-სერბეთი 2.5:1.5.

ექვსი ტურის შემდეგ: რუსეთი – 11 (19), უკრაინა – 11 (18.5), პოლონეთი – 10 (20), რუმინეთი – 10 (17), ინდოეთი-10 (17), აზერბაიჯანი(1)-10 (16), ჩინეთი-10 (17.5), აშშ – 10 (16.5), ჰოლანდია – 10 (15). ათ გუნდს, მათ შორის – საქართველოს (18.5), 9-9 ქულა აქვს.

ლაშა დიდია

◎ ნდობა

ჯგუფურ ეტაპს თბილისი უმასპინძლებს



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი ჩაჩუასთან ერთად ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტ რენატო არენას, ვიცე-პრეზიდენტ იოზგან მუთლუგილს და 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს შეხვდა.

საუბარი შეეხო ქალთა შორის 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებსა და იმ მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც საქართველომ უნდა გასწიოს. ქალ ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფურ ეტაპს მომავალი წლის სექტემბერში თბილისის ახალი სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

ევროპის ჩემპიონატზე სულ 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ხოლო თბილისი B ჯგუფის მატჩებს მიიღებს, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრები ითამაშებს.

2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი აზარბაიჯანსა და საქართველოში ერთდროულად გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაცია მსოფლიოს 160 ქვეყანაში განხორციელდება, ჩემპიონატის ზუსტი თარიღები და მონაწილე ნაკრებების ვინაობა კი ოქტომბრის ბოლომდე გაირკვევა.

კობა კობახიძე

◎ ასეც ვიცოდით



ლიდერობს ქინქლაძე

პოპულარული ინტერნეტ-პორტალი GOAL.COM-ი გამოკითხვას ატარებს იმის გამოსავლენად, თუ ვინაა ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი. გამოცემას ოთხი მოთამაშე ჰყავს შერჩეული და მათ შორის გიორგი ქინქლაძეცაა, ქართველის კონკურენტები კი არგენტინელი სერხიო აგუერო, კოლინ ბელი და ჯო ჰარტი არიან.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის გამოკითხვას ქინქლაძე ლიდერობს 5 292 ხმით (49%), მეორე ადგილზე კი აგუეროა 40%-ით.

გიორგი ზოთაძე

◎ ნახვამდის!

ალექსანდრე ამისულაშვილი:

„ვემშვიდობები ეროვნულ ნაკრებს და გადავდივარ გულშემატკივართა რიგებში“

თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა ალექსანდრე ამისულაშვილმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. 34 წლის ფეხბურთელმა ამის შესახებ განცხადება სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა:

„ჩემთვის ძალიან ძნელია ამ განცხადების გაკეთება, თუმცა, ვფიქრობ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და სწორედ ახლა დადგა ეს დრო, როდესაც მე ვემშვიდობები ეროვნულ ნაკრებს და გადავდივარ გულშემატკივართა რიგებში. უპირველესად, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ეროვნული ნაკრების ყველა ფეხბურთელს, ყველა მწვრთნელს, ვისთან ერთადაც მომიწია ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვა. დიდი მადლობა ნაკრების თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც ყოველდღიურად ძალიან ბევრს და დაუღალავად შრომობენ. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს გულშემატკივარს თანადგომისთვის, დაფასებისთვის, სიყვარულისთვის. აქვე მინდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ მე ყოველთვის ვიყავი ჯანსაღი კრიტიკის მომხრე და ვითვალისწინებდი საფუძვლიან შენიშვნებს, რადგან ეს ჩემი განვითარებისათვის აუცილებელია. თუმცა, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო პერიოდში ჩემს მიმართ გამოთქმული მოსაზრებები კრიტიკის ზღვარს გაცდა და შეურაცხყოფაში გადაიზარდა, რაც, დამეთანხმებით, მიუღებელია. უხეშმა, პირდაპირ ვიტყვი, შეურაცხმყოფელმა გამონათქვამებმა ჩემი მისამართით ნეგატიური გავლენა იქონია ჩემზე და ჩემს ოჯახზე. იმედი მაქვს, დაფიქრდებიან ამ გამონათქვამების ავტორები და მომავალში მაინც გაითვალისწინებენ, რომ არ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო ფეხბურთელს, რომელიც სულს და გულს დებს თავის საქმიანობაში! ჩემი ეს განცხადება ჩემს მიმართ უკვე გამოთქმულ შეურაცხყოფას ვერ წაშლის, მაგრამ იმედი მაქვს, სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებსაც ჯერ ყველაფერი წინ აქვთ, აღარ მოუწევთ მსგავსი გამონათქვამების მოსმენა .ყველას, ვინც აფასებდით ჩემს საქმიანობას, დიდ მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის!“ – ნათქვამია ალექსანდრე ამისულაშვილის განცხადებაში, რომელიც მისი მეუღლის ნინი ზარქუას ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ალექსანდრე ამისულაშვილი საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას 2002 წლიდან იცავდა და ამ დროის განმავლობაში ჩატარებულ 49 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

ბრაზილიაში „ბუმ ბუმს“ ვერ თმობენ

აბა ვინ არ იცის ბრაზილიაში ერთობ პოპულარული კონკურსის „მის ბუმ ბუმის“ შესახებ, სადაც მონაწილეობას ამ ქვეყნის ყველაზე გავაგანიერი ქალები იღებენ და რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, პოპულარობით „მის ბუმ ბუმის“ მოგება ბრაზილიაში ბევრ ცნობილ სილამაზის კონკურსს აღემატება.

ადრეც ვწერდით, რომ ამ დიდებული კონკურსის მესვეურებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ღონისძიების მასშტაბები გაეზარდათ და გრანდიოზულუკანალიანი ქალები სხვაგანაც გაეხარებინათ. საამისოდ კიდეც შეარჩიეს ახალი ქვეყანა – მექსიკა, სადაც ბრაზილიის საზღვრებს გარეთ პირველი კონკურსი უნდა გამართულიყო.

საბოლოოდ ამ იდეამ განხორციელება ვერ ჰპოვა, რადგან წინააღმდეგნი თვითონ ბრაზილიელები იყვნენ. გარდა ამისა, განაწყენდნენ ბრაზილიის სტადიონების მესვეურები (სადაც ეს კონკურსი ძირითადად იმართება ხოლმე), რომლებიც მშვენიერ შემოსავალს კარგავდნენ. ასე რომ, ბრაზილიურ სტადიონებს შემოსავალი, ბრაზილიელ მამრებს კი ხალისი არც შემდგომში მოაკლდებათ.

როსტომ რაჭველიშვილი

ეპიტაფია

მალხაზ ზაალიშვილი

ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გადაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ცენტრის ბიოფიზიკის მიმართულების დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი **მალხაზ მიხეილის ძე ზაალიშვილი**.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი მალხაზ ზაალიშვილი დაიბადა 1920 წელს ქ. მცხეთაში პედაგოგის ოჯახში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სრული კურსი ფიზიკური ქიმიის სპეციალობით. 1944-47 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში.

1946 წელს მალხაზ ზაალიშვილი მივლინებული იყო ქ. მოსკოვში, ა. ბახის სახელობის საკავშირო აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტში, სადაც მუშაობა დაიწყო საკანდიდატო დისერტაციაზე გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის ვ. ენგელგარდის ხელმძღვანელობით. ამ შესანიშნავ მეცნიერთან, მაღალი რანგის ინტელიგენტთან ურთიერთობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მ. ზაალიშვილის შემდგომი მოღვაწობის მიმართულება; ამ დროს გამოიკვეთა ის მეცნიერული პრობლემები, რომელთა კვლევას, სხვა ბევრ საკითხთან ერთად, იგი სიცოცხლის ბოლო დღემდე მისდევდა. ეს არის კუნთის შეკუმშვის მოლეკულური მექანიზმის შესწავლა.

1949 წელს მ. ზაალიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პ. მელიქიშვილის სახელობის ორგანული და ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილს (დაწყებული 1964 წლიდან) მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან, კერძოდ: ბიოფიზიკის, ბიოქიმიის, ციტოლოგიის, მაღალმოლეკულური ნაერთების, ცილის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. აკადემიკოს გ.მ. ფრანკთან ერთად 1964 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ბიოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას „ ბიოლოგიური ძვრადობა“.

მ. ზაალიშვილი იყო ბიოფიზიკის მიმართულებით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სიმპოზიუმების ორგანიზატორი, რომლებიც ხშირად ტარდებოდა თბილისში.

მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ბიოფიზიკის განვითარებაში. ეს არსებითად ახალი მიმართულება დაკავშირებულია მის სახელთან. იგი გახლავთ ავტორი 1971 წელს თბილისში გამოცემული მონოგრაფიისა: „კუნთის შეკუმშვის ფიზიკო-ქიმიური საფუძვლები“, რომელიც სამაგიდო წიგნად ითვლებოდა ბიოლოგიური ძვრადობის დარგში მომუშავე მკვლევართათვის. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. აკადემიკოს ი.ბერიტაშვილის დავალებით 1966 წ. იგი შეუდგა ლექციების კითხვას რადიობიოლოგიაში, ბიოფიზიკასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში. 70-იან წლებში ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა ბიოფიზიკის ლაბორატორია.

1972 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1974 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება ბიოფიზიკაში.

1979 წელს მ. ზაალიშვილი არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1990 -2004 წლებში მ. ზაალიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 2004-2006 წლებში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი.

დიდმა მეცნიერულმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა მ. ზაალიშვილს საშუალება მისცა თავის გარშემო შემოეკრიბა კოლექტივი, რომელიც მაღალ დონეზე შეისწავლიდა ბიოფიზიკის თანამედროვე საკითხებს. ბიოფიზიკის სექტორში დამუშავებული პრობლემების აუცილებლობამ და მნიშვნელობამ განაპირობა 1986 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის შექმნა, რომლის დირექტორად ის იყო არჩეული და მას ხელმძღვანელობდა 2000 წლამდე. მოლეკულური ბიოლოგიისა და ბოილოგიური ფიზიკის ინსტიტუტი დიდ მეცნიერულ დახმარებას უწევდა სხვადასხვა სამეცნიერო და სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებს სადისერტაციო სამუშაოების კვლევების ჩატარებაში.



საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრობისას მ.ზაალიშვილი წლების მანძილზე იყო „ბიოლოგიური ძვრადობის“ სექციის თავმჯდომარე, ასევე ჟურნალ „ბიოფიზიკის“ და ჟურნალ „მოლეკულური ბიოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

მ. ზაალიშვილი იყო „სევი“-ს წევრი ქვეყნების საკოორდინაციო ცენტრის ექსპერტი „ბიოლოგიური ფიზიკის“ საკითხებში. იგი გახლდათ თეორიული და გამოყენებითი ბიოფიზიკის საერთაშორისო კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

იყო დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ამიერკავკასიის I, II და III რეგიონალური სკოლისა (ბაკურიანი), რომლებიც ეძღვნებოდა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ფრიად მნიშვნელოვან თემას: „ბიოლოგიური მაკრომოლეკულების სტრუქტურა და ფუნქცია“.

იყო პრინციპული და გულისხმიერი ადამიანი. ის ქართველ და უცხოელ კოლეგებს შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ჭეშმარიტ შეფასებაში. ის იყო 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე.

მიუხედავად დროის დეფიციტისა, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას და ყველაფერი გააკეთა ბიბლიოთეკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მეცნიერთა და სტუდენტთა საქმიანობისათვის.

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2006 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით აკადემიკოსი მ. ზაალიშვილი დაინიშნა მის მიერ დაარსებული მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის საპატიო დირექტორად და ბიოლოგიური ძვრადობის განყოფილების გამგედ.

2010 წლიდან დღემდე იგი იყო სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის კონსულტანტი, ბიოფიზიკის მიმართულების ხელმძღვანელი. აკადემიკოსი მ. ზაალიშვილი 95 წლის ასაკშიც ანცვიფრებდა გარშემომყოფთ შესაშური მეხსიერებით, უშრეტი ენერგიით, მეცნიერული შორსმჭვრეტელობით, ერუდიციით, ყოველივე ახლის შენებისა და შემეცნებისკენ დაუოკებელი სწრაფვით.

განუზომელია ის გულისტკივილი, რასაც ცენტრის თითოეული თანამშრომელი განიცდის. მისი კოლეგები და აღზრდილები დიდი სიამაყით და პასუხისმგებლობით გააგრძელებენ ბატონი მალხაზის მეცნიერული იდეების განხორციელებას. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი

სანთელი

მალხაზ ზაალიშვილი

(1920-2016)



გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი.

ძალიან დიდია მალხაზ ზაალიშვილის წვლილი საქართველოში მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის განვითარებაში. მალხაზ ზაალიშვილის შრომები კუნთის ფიზიკურ-ქიმიური ორგანიზაციის კვლევის დარგში ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს. მის მიერ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებულ იქნა ბიომაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა.

აკად. მ. ზაალიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული კვლევების მნიშვნელობის აღიარების დადასტურება იყო მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დაარსება, რომელიც დღეს განაგრძობს მოღვაწეობას ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ფარგლებში.

დიდია მალხაზ ზაალიშვილის ამაგი საქართველოში ბიოფიზიკოსებისა და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტთა თაობების აღზრდის საქმეში. აკად. მ. ზაალიშვილის, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორის საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის განვითარებას. აღსანიშნავია მისი წვლილი 9 აპრილის მოვლენათა საგამოძიებო კომისიის მუშაობაში.

მისი საოცარი ორგანიზაციული უნარი, დაუცხრომელი ენერგია, ენთუზიაზმი და მაღალი პროფესიონალიზმი ყოველთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდა მკვლევარებისთვის. ვისურვებდით, რომ ქართულ მეცნიერებას ჰყავდეს ისეთი ერთგული მსახურნი, როგორიც იყო ბატონი მალხაზ ზაალიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო, ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

მურიკო თოფურიძე, ოთარ ბრეგვაძე, ლაური ჯანაშია ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

თემურ (კეჭი) კეჭაყმაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

კრიმინალი

ამოღებულია დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერება

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქე,

1991 წელს დაბადებული ვლადიმირ ც., დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით სადახლოში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 13,8 გრ ფსიქოტროპული ნივთიერება პრეგაბალინის შემცველი 46 კაფსულა ამოიღეს.

ყალბი საკრედიტო ბარათები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საკრედიტო ბარათების დამზადებისა და გამოყენების ბრალდებით ორი პირი დააკავა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, დადგინდა, რომ მოქალაქეები გოგიტა უბილავა და ნუკრი პერტახია სისტემატურად ამზადებდნენ ყალბ პლასტიკურ ბარათებს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებს სპეციალური მოწყობილობის საშუალებით, ჰაკერული გზით გადმოჰქონდათ უცხო ქვეყნის მოქალაქეების კუთვნილი პლასტიკური ბარათების მონაცემები და შემდგომ იყენებდნენ თბილისში არსებულ მაღაზიებსა და სავაჭრო ცენტრებში სხვადასხვა ნივთის შესაძენად. საგამოძიებო სამსახური აღნიშნავს, რომ ბრალდებულები შეძენილ პროდუქციას ყიდდნენ და იღებდნენ ფინანსურ სარგებელს.

ტრაგედია მშენებლობაზე

უბედური შემთხვევა მოხდა ქუთაისში. აღმაშენებლის შვიდ ნომერში მდებარე მშენებარე კორპუსიდან მუშა ჩამოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 116-ე მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

◎ დამნაშავეთა სამყაროს ლიდერი

კრიმინალური რუსეთის პრეზიდენტი – თბილისელი ქურდი შაქრო კალაშოვი

(მეცხრე გვერდიდან)

აგენტ „ზ“-ს შეტყობინება: „კანონიერმა ქურდმა გრომმა ქ. ტომსკის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებს აცნობა, რომ იანვარში გამართულ ქურდულ „სხადნიაკზე“, სადაც დედ ხასანის და შაქროს საქმეს განიხილავდნენ, მათ ბრალად უყენებდნენ ფართო კავშირებს ხელისუფლების ორგანოებთან, უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომ პირადი მიზნით იყენებდნენ ფულად სახსრებს, პრაქტიკულად არაფერი შეჰქონდათ „ობშაკში“.

კონკურენტი ქურდები ცდილობდნენ, გაენეიტრალებინათ შაქრო შსს-ს და პროკურატურის ნაყიდი თანამშრომლების საშუალებით. მაგალითად, 1999 წელს შაქროს ციხეში ჩასმისთვის იზმაილოვის დაჯგუფების წევრებმა 400 ათასი დოლარი გადაიხადეს. მაშინ ყველა ფედერალური ტელეარხის საშუალებით გადაიცა ოპერატიული ვიდეო, თითქოს დაკავებულს ჯიბეში 33 გრამი ჰაშიში აღმოუჩინეს.

შაქრო ქურდულ სალაროსთან ერთად ესპანეთში გადაბარგდა. 2003 წლის 20 მარტს ერთ-ერთ ესპანურ სასტუმროში ხმაურიანი ლხინი გაიმართა შაქროს 50 წლისთავთან დაკავშირებით. ათას ხუთას სტუმარს შორის ყოფილი სსრ კავშირის ქურდული სამყაროს მთელი თაიგული იმყოფებოდა. ისმოდა გრძელი ქართული სადღეგრძელოები იუბილარის მისამართით და მიხეილ სააკაშვილის გინება, რომლის ძალისხმევითაც შაქროს წყნეთში ჩამოართვა 30 მილიონი დოლარის ღირებულების 36-ოთახიანი ვილა (გადაეცა ფინანსთა სამინისტროს სამსახურს).

2005 წლის ივნისში ესპანეთის სპეცსამსახურებმა „რუსული მაფიის“ ლიდერთა წინააღმდეგ ოპერაცია „კრაზანა“ ჩაატარეს და რამდენიმე ათეული კაცი დააკავეს. შაქრო კალაშოვმა მიმალვა მოასწრო. იგი მხოლოდ 2006 წლის მაისში დაიჭირეს გაერთიანებულ არაბულ საამიროებში და ესპანეთს გადასცეს, 2010 წელს მას 9 წლის პატიმრობა და 20 მილიონი დოლარის ჯარიმა მიუსაჯეს.

2014 წლის ოქტომბერში ესპანეთის უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, შაქრო სასჯელის მოსახდელად რუსეთს გადასცეს. საქართველომ, რომელიც ასევე ცდილობდა მის ექსტრადიციას, უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ კალაშოვი რუსეთის მოქალაქეა. საქართველომ, სადაც შაქრო დაიბადა, იცხოვრა-იჯდა ცხოვრების დიდი ნაწილი, შაქროს დაუსწრებლად მიუსაჯა 18 წლით პატიმრობა, მოსკოვის კაზინო „კრისტალის“ აქციონერის, აშშ-ის მოქალაქის ალექს კრეინის (ბეგი შვილის) მკვლელობაში მონაწილეობისთვის.

ჟანა კიმი

საინტერესოა, რომ ამ კაზინოს 10 პროცენტი ეკუთვნოდა გრუ-ს (სამხედრო დაზვერვის) ყოფილ თანამშრომელს კარლენ აზიზბეკიანს, ხოლო 9,5 პროცენტი – მოქანდაკე ზურაბ წერეთელს. კრეინი საქართველოში გაიტაცეს და ნათესავებისგან 1,2 მილიონი დოლარი მოითხოვეს, მაგრამ ფულის გადაცემის შემდეგ მძევალი მოკლეს. გამოძიების ვერსიით, საბანკო ანგარიში, რომელ ზეც გამოსასყიდი ჩაირიცხა, თითქოს კალაშოვს ეკუთვნოდა. მოქანდაკე წერეთელს კაზინოს ზღურბლზე გადაბიჯება აუკრძალეს, ხოლო აზიზბეკიანზე რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და მასზე ფედერალური ძებნა გამოაცხადეს.

მხოლოდ 12 წლის შემდეგ დახურა საგამოძიებო კომიტეტმა ყველა „შეკვეთილი“ საქმე აზიზბეკიანის წინააღმდეგ, მაგრამ შაქრო კალაშოვი არავის მიუცია პასუხისგებაში, კორუმპირებული პროკურორები და გამომძიებლები უკვე პენსიაში ან ფედერალურ ძებნაში არიან, ან გარდაიცვალნენ საეჭვო ვითარებაში.

ფატიმა მისიკოვა და მისი დიზაინით გაწყობილი ოთახი შაქრო კალაშოვის აგარაკზე

2015 წლის ოქტომბერში შაქრო მალადოი ციხიდან გაათავისუფლეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა პროფილაქტიკური საუბარი ჩაუტარეს. რუსეთის დოლარიანი მილიარდერების უმრავლესობა მისი მეგობარი, კომპანიონი ან ყოფილი ხელქვეითია, „სამეურვეოა“, მაგალითად, როცა მილიარდერ სოსინის ვაჟმა საკუთარი დედა მოკლა, შაქრო პირადად ჩავიდა ყაზანში „საქმის ჩასაწყობად“ – ციხეში დედის მკვლელები დიდხანს ვერ ცოცხლობენ.

ახლახან, 2016 წლის 11 ივლისს, შაქრო კალაშოვი დააკავეს თავის კოტეჯში მოსკოვის ოლქის ოდინცოვის რაიონის სოფელ ჟუკოვკაში, როგორც ვთქვით, მოსკოვის ელიტური კაფე-რესტორნის „ელემენტის“ მეპატრონის ჟანა კიმისთვის ფულის გამოძალვის ორგანიზატორობის ბრალდებით (ამას წინ უძღვოდა მოსკოვის ცენტრში სროლები 2015 წლის 14 დეკემბერს, რასაც შაქროს ორი „ძმაკაცი“ ემსხვერპლა.

უკანასკნელი წლების ყველა ავი და კარგი შაქრო კალაშოვმა სამოქალაქო მეუღლესთან მარინა გოლდბერგთან (დ. 1977 წ.) ერთად გადაიტანა. მათ ოფიციალურად გაუფორმებელი ქორწინების შედეგად სამი ბავშვი ჰყავთ. საყვარელი ქალიშვილის ხათუნას სახელი დაარქვა მან ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აგებულ ბრწყინვალე სასახლეს. პატარა ხათუნა მამასთან იყო მასზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს.

მათი ცხოვრება იმდენად არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტმა მარინა გოლდბერგი კრიმინალური ტრანსნაციონალური დაჯგუფების („ძმური წრის“) წევრთა სიაშიც კი შეიყვანა.

მოამზადა
სანდრო ალექსიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ძილი გვერდზე დაწოლილი ჯობს

გულაღმა ან მუცელზე ძილისგან განსხვავებით, გვერდზე ძილი ორგანიზმს ცხოველმოქმედების, პროდუქტებისგან უფრო ეფექტიანად დაცლის შესაძლებლობას აძლევს, აცხადებენ ამერიკის სთოუნ-ბრუკის უნივერსიტეტის მეცნიერები.

მკვლევარებმა სხვადასხვა პოზაში ძილის დროს ქალა ტვინიდან გადამუშავებული პროდუქტებისა და ტოქსინების, მათ შორის ისეთი ცილების მოცილების პროცესი შეისწავლეს, რომლებიც, ვთქვათ, ალცეიმერის დაავადებას იწვევენ.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ პროცესზე პასუხისმგებელი **გლიმფატური** სისტემა ყველაზე ეფექტიანად სწორედ გვერდზე დაწოლილი ძილის დროს მოქმედებს.



საგულისხმოა, რომ ძილის ეს პოზა ყველაზე პოპულარულია ადამიანებშიც და ველურ ცხოველებშიც. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ის თავის ტვინის მეტაბოლური ნაგვისგან ეფექტიანად განწმენდის პროცესის ევოლუციის დროს წარმოიშვა.

ოპერა, ბალეტი, ოდეკოლონი და... კანფეტები

პერმის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ხელმძღვანელობას გეგმაში აქვს... ოდეკოლონის გამოშვება, რომლის პირობითი სახელწოდება „თეოდორია“.

მამაკაცის ოდეკოლონის კომპოზიცია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **თეოდორ კურენტზისმა** შვეიცარიელმა პარფიუმერებთან ერთობლივად შექმნა.

ამის გარდა, ოპერისა და ბალეტის თეატრი საკონდიტრო ფაბრიკასთან ასევე ერთობლივად... კანფეტების „პერმის ბალეტი“ და „პერმიდან – სიყვარულით“ გამოშვებასაც აპირებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.306; ევრო - 2.604;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.081;
100 რუბლი - 3.605; თურქული ლირა - 0.786;
აზერბაიჯანული მანათი - 1.381;
1000 სომხური დრამი - 4.856.

ამინდი 10 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +16,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +28
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +16,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +28
თბილისი:	ღამე +19,	დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE